



K 8504
2


გამოცემა ოფიციალი.

ფარისებვა



ბრძოლაში ქვეითა ჯარის მოქმედებისთვის.

ნებადართულია რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის
მიერ 1920 წ., 20 თიბათვეს.



თბილისი.
სამხედრო სამინისტროს სტამბა
1920

სარჩევნი.

| | გვერდი |
|---|--------|
| საზოგადო დარიგებანი | 1 |
| I. ძიება (მოხილვა) | 11 |
| II. მოძრაობა ქვეითა ჯარისა ბრძოლისდროს | 16 |
| III. ქვეითა ჯარის სროლის მართვა | 28 |
| ვაზნების მიწვდა ბრძოლის დროს | 33 |
| IV. ხიშტით იერიში | 35 |
| V. ასეულის მოქმედებანი | 39 |
| VI. მოქმედებანი ათასეულისა | 53 |
| VII. მტრის მახლობლად დახვევა | 67 |
| VIII. მოქმედებანი პოლკისა, ბრიგადისა და დივიზიისა | 69 |
| IX. ცხენოსან ჯარის იერიშის შეხვედრა | 70 |
| X. მოქმედებანი ღამით | 73 |
| პროექტორების გამოყენება | 78 |

დარიგება ბრძოლაში

ქვეითა ჯარის მოქმედებისთვის.

საზოგადო დებულებანი.

1. ბრძოლაში უმთავრესი როლი ქვეითა ჯარს ეკუთვნის; სხვა გვარი ჯარები ყოველგვარ საშუალებით უნდა ცდილობდნენ დაეხმარონ საომარ მიზნების განხორციელებაში და თავგანწირვით გამოიხსნიდნენ მას, გაჭირვების წამს.

თავის მხრივ ქვეითა ჯარიც თავს უნდა შესწირავდეს სხვა გვარ ჯარების გამოხსნას.

2. ქვეითა ჯარის ძალას ბრძოლაში შეადგენს თოფის და ტყვია-ფრქვევის სროლა მედგრად წინ მსვლელობასთან ერთად და ხიშტი იერიში.

3. ბრძოლისთვის ქვეითა ნაწილები გაიშლებიან საომარ წესად.

საომარი წესი ასეულისა შესდგება შარის ოცეულთა უბნებისაგან და ასეულის მაშველიდგან.

საომარი წესი ათასეულისა-ასეულის საბრძოლო უბნებისაგან და ათასეულის მაშველისაგან.



საომარი წესი ბრიგადის შესდგება საბრძოლო უბნებიდან და ბრიგადის მაშველიდგან, ამასთან საბრძოლო უბნებში შეიძლება დანიშნული იყოს რამოდენიმე ათასეული.

საომარი წესი დივიზიისა შესდგება საბრძოლო უბნებიდან, რომელშიაც შეიძლება დანიშნული იყვნენ ბრიგადები, და რამოდენიმე ათასეულები და დივიზიის მანშველისაგან.

მოქმედების მიზანის, გარემოების და ბრძოლის განვითარების ხარისხის მიხედვით — ასეულის საომარ წესში შეიძლება არ იყოს ასეულის მაშველი, ათასეულის, ბრიგადისა და დივიზიის საომარ წესში კიდევ შეიძლება არ იყოს ესა თუ ის მაშველი.

4. ყოველი საბრძოლო უბანი, დავალებულ კერძო ამოცანის შესრულების დროს, ისე უნდა მოქმედობდეს, რომ ადვილდებოდეს ბრძოლის საერთო მიზნის მიხვევა.

5. ყოველ საბრძოლო უბნის საომარ წესში გაშლის დრო და ადგილი ლამოკიდებულია ამა თუ იმ საბრძოლო უბნის მოქმედების მიზანზე და გარემოებაზე.

წყობილებანი, რომელნიც გამოიყენებიან ყოველ საბრძოლო უბანში და მაშველებში, უნდა შეფარდებულ იყვნენ მტრის დაშორებასთან, მისი

სროლის ხასიათთან და ადგილ-მდებარეობის თვისებებთან.

6. ბრძოლის დროს ყოველი უფროსის ყურადღება იმას უნდა დასტრიალებდეს, რომ მისი ხელქვეითი ნაწილები გამოიჩენდნენ ერთმანეთის დახმარებას სროლის განვითარებაში და ხიშტი იერიშის დროს, აგრეთვე მოძრაობისას.

7. ყველა უფროსი ყოველგვარ მოძრაობის და მოქმედების დროს მოვალე არის თავის უშუალო ხელქვეითნი გაავნოს გარემოების შესახებ და დაუსახოს მათ სრულიად გარკვეული მიზნები, რომლებიც კი საჭიროა მიხწეულ იქნეს.

8. ბრძოლის განმავლობაში უფროსის ყოველივე განკარგულება უნდა იყოს ეიზან შეწონილი, ე. ი. ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს იმ მიზნიდან, რომელსაც უფროსი თვითონ დაისახავს და თავის დროზე უნდა იყოს გაცემული. ეს აუცილებლად საჭიროა, რომ განკარგულებას არ ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი, შესრულებამ კიდეც — მიიღოს წარმატებისთვის საჭირო სიმტკიცე.

9. ყოველი მეომარი, უზენეს უფროსიდგან მოკიდებული, ვიდრე ჯარის კაცამდე, თავის წმინდა მოვალეობათ უნდა სთვლიდეს დასახულ მიზნის აუცილებლად მიხწევას, მიუხედავათ სიძნელისა და ზიანისა ამ დროს.

დასახულ მიზნის მიხწვევისთვის საუკეთესო საშუალებას შეადგენს **შეტევითი მოქმედებანი**.

შეტევითი მოქმედებანი შეძლებას იძლევიან თაოსნობის ხელში ჩაგდებისას და მტრის გატეხილას.

მტრის გატეხისთვის როგორც გინდა გარემოების შეხვედრის დროს თავში და გულში მუდამ ჩანერგილი უნდა გვქონდეს შეურყველი გადაწყვეტილება: ბოლომდე მივიყვანოთ საქმე.

ყოველი უფროსი გამსჭვალული უნდა იყოს ამისთანა გადაწყვეტილებით და იგივე უნდა შთაავონოს თავის ხელქვეითებს.

10. ბრძოლაში, ქვეითა ჯარის ყოველი უფროსი თვალყურს უნდა ადევნებდეს ნაწილების ზნეობრივ ვითარებას, უნდა აღვივებდეს მათში შეტევითი გატაცებას და გადაწყვეტილებას დასახულ მიზნის უსათუოდ მიხწვევისას.

აფიცრები უნდა აჩვენებდნენ მაგალითს სულიერ სიძლიერისას და ვაჟკაცურ მამაცობისას.

11. ყველა უფროსი ბრძოლაში უნდა გამოიჩინდეს **კვრძო თაოსნობას**, ე. ი. მოქმედობდეს საკუთარ პასუხის გებით მაშინ, როდესაც გარემოების მიხედვით, დასახულ მიზნის მიხწვევა საუკეთესოდ შესაძლებელი ხდება.

12. ქვეითა ჯარის რომელიმე ნაწილით მიხწეული წარმატება უნდა განვითარებული იქნეს მეზობელ ნაწილების მიერ, უზენეს უფროსებისგან განკარგულებათა დაულოდნელად. რომელიმე ნაწილის მიერ მიხწეულ წარმატების განვითარებისთვის, საუკეთესო იშკილად (ლონედ) ჩაითვლება მეზობელ ნაწილების მედგარი მოქმედებები.

13. ქვეითა ჯარის ყოველი უფროსი უნდა იმყოფებოდეს თავის ნაწილის მოქმედობის მისაღვეარში ისეთ ადგილას, საიდანაც მისთვის მოხერხებული იქნება ხელქვეით ნაწილებისა მართვა, და შესაძლებელი პირადათ ადვენოს თვალყური მათ მოქმედებას, აგრეთვე მტრისას და მეზობელ ნაწილებისას.

ყოველ უფროსის ადგილი, ყოველთვის უნდა იცოდნენ დანამდვილებით ხელქვეითებმა; უფროსის მიერ ადგილის გამოცვლის შესახებ ხელქვეითთ უნდა ეცნობოს ხოლმე დაუყოვნებლივ.

ბრძოლის გადამწყვეტ წამებში ყოველი უფროსი უნდა იყოს იქ, სადაც მისი ყოფნა საჭიროა, რათა უშუალოდ მართოს ჯარები და აღაფრთოვანოს ისინი პირადი მაგალითით.

14. ყოველი უფროსი მოვალეა ბრძოლის დროს დაადგინოს ბრძოლის ველის თვალყურე-

აკრძალულია აგრეთვე დატოვება თავის ადგილისა საომარ წესში დაჭრილების გამოსაყვანათ, რათა არ შემცირდნენ ის ნაწილები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ. დაჭრილების გამოსაყვანათ დანიშნულნი არიან მესაკაცეები.

17. ბრძოლაში შესაძლებელია არევა რამოდენიმე ნაწილებისა; ამ შემთხვევაში უნდა დანიშნოს ვინმე საერთო მათ უფროსად; თუ საერთო უფროსი არ არის დანიშნული, მაშინ დამსწრე უფროსებიდან უზენესმა უნდა მიიღოს თავის თავზე შერეულ ნაწილების კაცების მართვა. ასეთმა საერთო უფროსმა რაც შეიძლება მალე უნდა აღადგინოს წესრიგი, გაყოს ასეულთა რიცხვის მიხედვით ნაწილებად, დანიშნოს იქ აფიცრები და ნაცვლები.

18. ყველა უფროსი უნდა ზრუნავდეს მუდმივ კავშირის შესახებ როგორც კედაროზე, ისე სიღრმით; კავშირი გამოიხატება ერთმანეთის მოქმედების, ჩვენი და მტრის ჯარის მდგომარეობის გაგნებაში, აგრეთვე ადგილის მდებარეობის შესახებაც.

19. კავშირის დადგინება საერთო მოვალეობას შეადგენს იმ უფროსებისთვის, რომელნიც ერთმანეთს ამ კავშირით ეკვრიან.

20. ასეულის საბრძოლო უბანში კავშირი ოცეულის უფროსებისა (თავების) ერთმანეთთან და ცალკეცალკე მათი ასეულის უფროსთან, აგრეთვე კავშირი ასეულებს შორის არსდება ბაირაღებით ნიშნების საშუალებით, რისთვისაც წინათვე შემუშავებულია რამოდენიმე უბრალო ნიშანი ბაირაღით. ამის გარდა კავშირისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სადარაჯოები, მზვერავეები, ტელეფონი და სხვა საშუალებანი, გარემოების მიხედვით. შარში მისაღებია გადაცემა ცნობების ან განკარგულების ჯარის კაციდან ჯარის კაცამდე. ოცეულის უფროსის (თავის) და მეზობელ ასეულს უფროსის ნიშნების მისაღებათ, აგრეთვე ნიშნების მისაცემათ, ასეულის უფროსი ჰნიშნავს მასთან მყოფ ჯ. კაცებიდგან იმეებს, რომელნიც თვალს ადევნებენ ფრთისკენ გაგზავნილ მზვერავეებს.

ასეულის საბრძოლო უბანში კავშირი ასეულთა უფროსების და ათასეულის უფროსის შორის დადგინდება სადარაჯოების, მზვერავეების საშუალებით, ცალკე კაცების დაყენებით, აგრეთვე ბაირაღების ნიშანიანობით, აღმებით, ტელეფონით და სხვა საშუალებებით, გარემოების დამიხედვით.

ათასეულის უფროსმა უნდა დანიშნოს თავისთან ნიშნების მიმღებნი, რომელნიც ამასთანავე მისი ნიშნების გადაცემებიც არიან.

როდესაც კავშირი სწარმოებს ტელეფონის საშუალებით, რომ შემოკლდეს მავთულის ხარჯი, სასარგებლოა დაარსდეს საშუალო სადგური, რომლის საშუალებითაც ხდება გადაცემა შეკავშირებულ უფროსების შორის.

დანარჩენში ცნობების მიწვდის დროს, აგრეთვე განკარგულებების. ცნობების დასმენების და შეტყობინებების მოტანისას უნდა იხელმძღვანელოთ **საველე სამსახურის წესდების 34-51 მუხ.**

21. ყველა უფროსი მოვალეა შეისწავლოს ადგილ-მდებარეობა, სადაც მას მოუხდება მოქმედება; ამასთან არ უნდა გამოიჩინოს პაწია ოღრო-ჩოყროებიცკი და პატარა ადგილებრივი საგნები, რომ შემდეგში ისარგებლოს მათი თვისებებით, სროლის მეტი სანამდვილესთვის და ფარულათ მისვლისთვის მტერთან.

22. ბრძოლაში ქვეითა ჯარი უნდა ზომებს დებულობდეს, რომ მტრის სროლის ზიანი შეამციროს.

საამისო საშუალებებს შეადგენს: მტკიცე გადაწყვეტილება და რაც შეიძლება სწრაფი შეტევა, განვითარება თავისი ნამდვილი სროლისა, შეგუება მტრის სროლის თვისებასთან და ხასიეთთან, აგრეთვე შეგუება ადგილ-მდებარეობასთან.

წარმოსადგენია შემთხვევები, როდესაც ყველა ასეთ საშუალებების მოხმარების დროსაც შეუძლებელი შეიქმნება მტერთან მიახლოება, მაშინ მტრის სროლისაგან ზიანის შესამცირებლად მოძრაობა უნდა შესრულდეს ლამით.

თუმცა უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ ზრუნვა ზიანის შემცირებაზე მტრის სროლისაგან არ უნდა ეღობებოდეს და აფერხებდეს ბრძოლის მიზნის შესრულებას (მუხ. 9).

23. საომარ წესის ყოველი ნაწილის შეგუება მიდამოსთან იმ მიზნით, რომ შეუმჩნეველ იყვნენ მტრისაგან და შემცირდეს ზიანი მის სროლისაგან, ამ ნაწილის უფროსის მოვალეობას შეადგენს.

24. შეგუება ადგილთან ჯ. კაცთა (მსროლელთ) შარში მათზეა დამოკიდებული განყოფილების მოთავსების თარგლებში; ამასთან განყოფილებანი ერთი ათეულისა შარში უნდა იმყოფებოდნენ თავისი ათის თავის განკარგულებაში, ერთი ოცეულის ათეულნი — თავიანთ ოცეულის უფროსის (თავის) ხელში.

25. ქვეითა ჯარი ბრძოლის დროს თვითონ უნდა გამოიყენებდეს სამხედრო საინჟინერო ცოდნას ადგილობრივი დაბრკოლებების გადასალახ-



ვად, რომელიც კი ჰხვდებათ გზაზედ; აგრეთვე საკუთარ სროლის სინამდვილეს გასაფართოვებლათ, მტრისაგან საუკეთესოდ მოფარებისთვის, მისი სროლისგან ზიანის შესამცირებლად.

ყველა უფროსებმა, როდესაც იძლევიან განკარგულებას საინჟინერო მუშაობის შესახებ, უნდა იქონიონ მხედველობაში ქვეითა ჯარის ძალა და აგრეთვე ის, რომ საინჟინერო მუშაობამ, არ შეასუსტოს შეტევის სიმედვრე.

საინჟინერო მუშაობის შესრულების დროს და აგრეთვე ხანდაკობის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ: **დარიგებით სამხედრო საინჟინერო საქმისთვის ყოველ გვარი იარაღის აფიცრებისთვის და დარაჯებით ქვეით ჯარის ხანდაკობისთვის.**

I. ძიება (მოხილვა) ქვეითა ჯარით.

26. ქვეითა ჯარს, თავისი თვისების მიხედვით, შეუძლია იძიოს მტერი და მიდამო თავის მოწინავე ნაწილებიდან ნახევარ გადასვლის მანძილზე ქვეითა ჯარის საძიო ორგანოების 4-5 ვერ. მეტზე დაშორების შემთხვევაში, მათ დასახმარებლათ კარგია გაიგზავნოს პატარა ქვეითა ნაწილები (ოცეული, ნახევარ ასეული, ასეული), რომლებსაც

სასურველია დაემატოს ხოლმე ტექნიური გადასაცემი საშუალებები, თვითმოდრავნი, ან რამოდენიმე ცხენოსანი.

27. საძიებლად გაგზავნილ ქვეითა ნაწილის წინთუ ძიებას ახდენს ცხენოსანი ჯარი, ამ მიზნითვის გაგზავნილი უფრო ადრე და მტრისაგან უფრო მოშორებულ მანძილიდგან, მაშინ, ჩვეულებრივ, ჩვენი ქვეითა ჯარის მტერთან მიახლოვების მიხედვით, ცხენოსნის მძიებელი ნაწილები თანდათან გროვდებიან მტრის ფრთების პირდაპირ იმ მიზნით, რომ განაგრძონ ძიება სიღრმეზე და მტრის მოთავსების ზურგისკენ. ამგვარ შემთხვევებში, მძიებელი ცხენოსანი ნაწილები იხევენ და გროვდებიან მტრის ფრთების პირდაპირ, ფრონტზე ძიება რომ არ შესწყდეს და არ შესუსტეს **ქვეითა მძიებელი ორგანოები იმდენად ადრე უნდა იყვნენ წინ გაგზავნილნი**, რომ შესძლონ დროზედ მიღება თავის თავზე ძიება კედაროზე და ფრთების იმ ადგილებისა, სადაც ცხენოსანს ვერ შეუძლიან ძიების კარგათ გაგრძელება.

28. საძიებლად ქვეითა ჯარისაგან იგზავნება მძიებელი **მზვერავები** და **დასები**, რომელნიც მოქმედებენ ცალკე ან და **ქვეითა ნაწილების** მიერ მხარდაჭერით. **მზვერავები** იძიებენ, უმთავრესად,

განსაზრულ მიმართულებით და განსაზრულ ადგილებს; დასებს ევალებათ ძიება განსაზრულ კედაროსი, მისადევრის ან მტრისკენ მიმართულ ზოლის (ფარდის).

29. მზვერავეებში და დასებში უპირატესად ინიშნებიან მძიებელნი, არა მძიებელთაგან კი ისეთი ჯ. კაცები, რომელნიც უფრო ნიჭიერები აღმჩნდებიან ძიებაში. გამაგრებული ადგილების ძიების დროს ქვეითა მზვერავეებს და დასებს მიემატება მესანგრენი და არტილერიტები; ამის გარდა ამისთანა შემთხვევაში შეიძლება გაიგზავნოს მესანგრეთაგან სპეციალი მზვერავეები.

უფროსებად მზვერავთა და დასების, რომელნიც არ შესდგებიან მძიებლებიდგან, ინიშნებიან აფიცრები, ნაცვლები ან მძიებელნი; მნიშვნელოვან შემთხვევაში უკეთესია მზვერავთა და დასების უფროსებად მძიებელთაგან შედგენილ მზვერავთა და დასების უფროსებად ინიშნებოდნენ აფიცრები და ნაცვლები. ძალა ყოველ მზვერავის და დასისა შეუფარდდება: მიცემულ ამოცანას, სიშორეს, რომელზედაც ისინი იგზავნებიან, და ასმენათა მოსალოდნელ რიცხვს. მზვერავთ და, განსაკუთრებითკი, დასებს შეიწლება მიემატოს გადაცემის ტექნიური საშუალება, თვითმოძრავეები.

30. დასმენათა მიტანის დასაშურებლად მზვერავებმა და დასებმა შეიძლება დააყენონ საშორისო სადარაჯოები. თუ მზვერავებს და დასებს ქვეითა ნაწილები სოცხმარება, მაშინ საშორისო სადარაჯოები იგზავნებიან ამ ნაწილებიდგან.

31. ყოველ მძიებელ მზვერავს, ყოველ დასს და მწე ნაწილს ეძლევა განსაზღვრული ამოცანა; ამის გარდა მათ გადაეცემათ:

- ა) ცნობები მტრის შესახებ;
- ბ) საჭირო ცნობები ჩვენი ჯარების შესახებ;
- გ) ვის და სად უნდა გაეგზავნოს დასმენები;
- დ) ცნობები მეზობელ მზვერავებზე, დასებზე და მწე ნაწილებზე;
- ე) თუ საჭიროა, რა დროისთვის უნდა იყოს მოტანილი საჭირო ცნობები;
- ვ) სად უნდა დაბრუნდეს და რა უნდა გააკეთოს ამოცანის შესრულების შემდეგ.

მზვერავთა, დასების და მწე ნაწილების უფროსებს, თუ საჭიროა, გააცნობენ, უსათუოთ სიტუაციერადკი, ამის გარდა მძიებლის გამგზავნელ უფროსს მოქმედების შესახებ გაგულვებათ.

32. ძიებას ყოველ მზვერავში და დასში მოაწყობენ მათი უფროსები მიცემულ ამოცანის ფარგლებში.

33. ძიებისთვის დასი ჰგზავნის წინ მძიებელ მწვერავთ, ამასთან დასის უფროსი რამოდენიმე კაცი თუკეთესია იმყოფებოდეს მწვერავთა უკან, რომ უკეთესად უხეღმძღვანელოს ძიებას. დასის მიერ დაფარულ ადგილების და მისავლების ძიების დროს ხანდისხან სასარგებლოა დაყენდეს მცირე რიცხოვან მწვერავთა თხელი შარი (2-3 კაცი თითოში), რომელნიც წაიწვევენ რა წინ, გამოიკვლევენ მთელს ზოლს ერთბაშად.

34. მძიებელი მწვერავები როგორც ცალკეები, ისე დასის მიერ გაგზავნილნი, უახლოვდებიან ძიების მიზანს ფარულ მისავლებით, რომელნიც, თუმცა, არ უნდა უშლიდნენ ხელს საჭირო დაკვირვების მოხდენას.

35. ცალკე მწვერავთა და დასების უფროსნი დასმენათ უგზავნიან უფროსს, რომელმაც ისინი გაგზავნა, ან იმას, ვისზედაც ნაბრძანები იქნება. თუ მწვერავთ და დასებს მხარს უჭერს ქვეითა ნაწილები, მაშინ დასმენანი ეგზავნება მწვერავთა და დასების ან მცირე უფროსების მიერ მწე ნაწილის უფროსს; მოტანილი ცნობები აქ ჯგუფებად იყოფა და მერე იგზავნება დანიშნულისამებრ.

36. მძიებელი მწვერავნი და დასები საბრძოლ შეტაკებას მაშინ მიჰმართავენ, როდესაც ეს აუცი-

ლებელია ძიების მიზნის მისახწევად; ქვეითა მწე ნაწილები უნდა აწვებოდნენ წინ წამოაწეულ მტრის ნაწილებს, რომ ამით გაუფართოვონ მოქმედების მიდამო მზვერავთ და დასებს, მისცენ შესაძლებლობა შეიქრნენ მტრის მოთავსების სიღრმისკენ და საძიებელ მიზანს შემოუარონ ფრთებით, აგრეთვე იმისთვის, რომ წინაღმდეგობა გაუწიონ მტრის ძიებას.

II. მოძრაობა ქვეითა ჯარისა ბრძოლის დროს.

37. ყოველივე მოძრაობის წინ უნდა იყოს ნათლათ დასახული: მიზანი მოძრაობისა და მოძრაობის საერთო მიმართულება, დიდი ნაწილისთვის მოძრაობის ზოლი (ფარდი). მიმართულება და ზოლი მიმართულებისა შეიძლება ნაჩვენები იყოს რუკაზედ ან აღნიშნული ადგილობრივ საგნებით.

საერთო მიმართულების შესაფერისად ყოველ მცირე ნაწილს ეჩვენება მოძრაობის მიმართულება მის წინ მდებარე, კარგათ დასანახავ საგანზედ, ისე-კი, რომ ყველა ნაწილების მოძრაობა ხდებოდეს საერთო მიმართულების სწვრივად. როცა ადგილობრივ საგნის ჩვენება შეუძლებელია, მაშინ მიმართულება აღინიშნება სხვა რაიმე იშკილით, მაგ. გზის-

ტყის გაყოლებით, მეზობელ ნაწილის მართვებით ან მარცხნით და სხ., აგრეთვე ყიბლანით. როცა შეუძლებელია უჩვენონ მოძრაობის მიმართულება ადგილობრივ საგნით, მაშინ უნდა დაინიშნოს მიმართავი ნაწილი; ასეთი საჭიროება შეიძლება ხშირი იყოს ხოლმე მცირე ნაწილების მოძრაობის დროს.

38. მოძრაობის დროს არ უნდა დაუშვათ გაწყვეტა და შეხრთვება მეზობელ ნაწილებისა. ამის თავიდან ასაცილებლად, ყოველი უფროსი მოვალეა თვალ ყური ადევნოს, რომ მიმართულება სისწორით იყოს დაცული, გადახვევის შემთხვევაში კიდევ თავის დროზე შეასწოროს შეცდომა.

39. მოძრაობის დროს უნდა შეეწყოს ადგილ-მდებარეობას, რომელზედაც გიხდებათ ეს მოძრაობა და მტრის სროლას. ამისდა მიხედვით უნდა იყოს გამოყენებული ესა თუ ის წყობილება და მოძრაობის იშკილები.

40. გაფანტული წყობილება (მსროლელთა შარი) გამოიყენება მოძრაობის და ადგილას მოთავსების დროს მტრის თოფის სროლის სფეროში შეხვედრისას.

გაშლილი წყობილება მისი სახეცვალებით გამოიყენება მაშველებში, აგრეთვე მტრის არტილერიის და თოფის სროლის სფეროში მოძრაო-

ბის და მოთავსების დროს. მტრის სროლისაგან ზიანის შესამცირებლად ეს წყობილება შეიძლება გაიჯრეს, ან არა და გადავიდეს ერთ მწკრივიან წყობილებაზედ—დაჯრილზე ან გაჯრილზე. რაზმები—ოცეულთა და ათეულთა დასაშვებია მხოლოდ მაშველებში და ამასთან კარგათ მოფარებულ ადგილებში.

წყობილება ოც-ოცეულად შეიძლება გამოვიყენოთ მტრის არტილერიის შორი სროლის სფეროში მოძრაობის და მოთავსების შემთხვევაში; ამ წყობილების სასარგებლოთ გამოყენებისთვის საჭიროა, რომ ოცეულის უფროსებს (თავეებს) სრულიად დამოუკიდებლად შეეძლოთ ოცეულების ერთის წყობილებიდან მეორეში გადაყვანა ადგილმდებარეობის და მტრის სროლის მიხედვით.

ათასეულის სამაშველო რაზმი იხმარება მტრის სროლის სფეროს გარეშად.

წყობილება ას-ასეულად იხმარება მაშველებში მტრის სროლის სფეროში მოძრაობის და მოთავსების დროს. მასთან მტრის თვალიდგან მოსაფარებლად და სროლიდგან ზიანის შესამცირებლად შეიძლება შეეცვლილ იყოს: წყობილება ყოველივე ასეულისა, მანძილი და ხანები ასეულების შორის და ასეულების ერთი მეორესთან მოთავსების წესრგი.

41. ბრძოლის დროს ქვეითა ჯარის მოძრაობის იშკილები იმაში მდგომარეობას, რომ ასეულელებში ოცეულთა უბნის შარები მოძრაობნდენ ნაბიჯით ან გადარბენით—**ოცეულეებრივ, ათეულეებრივ, განყოფილებებრივ და ცალკ-ცალკე ჯ. კაცებით** - ერთს სასროლ პოზიციიდან მეორეზე, ახალ სასროლ პოზიციასზე შარების დაგროვებით. მაშველები გადადიან საჭირო მიმართულებისკენ აგრეთვე ნაბიჯით ან გადარბენით. მთელი მაშველით ერთად ან ნაწილ-ნაწილ, ოცეულეებით, ათეულეებით და ცალ-ცალკე ჯ. კაცებით—ერთი საფარიდგან მეორეზედ, შეკრეფით რომელიმე ახალდაახლ საფარის უკან.

42. გადარბენა, უპირატესად, იხმარება მტრის ნამდვილ სროლის ქვეშ. სასროლი პოზიციების შუა მანძილი, თუ დიდია, მაშინ უნდა გადაირბინოთ შუაზე მოკლე შეჩერებით შესასვენებლათ და აგრეთვე იმისთვის, რომ დიდი ხნით არ წარმოვადგენდეთ მტრისთვის კარგს მიზანს.

ღია ადგილზე გადარბენა, საშუალოთ, 100 ნაბიჯამდე შეიძლება. მოძრაობის ზოლში, თუ მოიპოვება რამდენიმე ერთი მეორესაგან მახლობელი პოზიციები, მაშინ მოძრაობა რომ არ შეჩერდეს, შეიძლება ზოგიერთი იმათგან არ იქმნეს დაჰკერილი.

43. მკაცრ სროლისას განსაკუთრებით ახლო მანძილზე, ხშირად უკეთესია ხოლმე ფოთხით (კოცვით) მოძრაობა გადასვლ-გადმოსვლის დროს, ყოველივე ნაწილი უნდა ცდილობდეს, რომ დანარჩენ ნაწილებს არ უშლიდეს მტრისკენ სროლას.

44. ქვ. ჯარის ნაწილების ყოველივე მოძრაობის დროს, შესაფერისად წაიწვევენ ბერაები და მზვერავები, რომელნიც თვალ ყურს ადევნებენ ფრთებს და ზურგს.

ქვეითა ჯარის აღლუმობა ბრძოლის განმავლობაში.

45. ყოველი აღლუმის ამოცანაა—ჩააყენოს ქვეითა ჯირი დასახულ მიზნის მიხვევისთვის საუკეთესო მდგომარეობაში. ეს ამოცანა შესრულდება: მოძრაობის შესაფერისად მიმართვით, მისი სისწრაფით და ფარულად მოხდენით, მტრის სროლის და ადგილ მდებარეობის მოხედვით წყობილებათა გამოყენებით, დღე ღამის დროით და ამინდის მოხერხებულად სარგებლობით.

46. მიმართულებების სისწორით დაცვა ქვეითა ჯარის აღლუმის წარმატების მთავარი პირობაა.

მტრისკენ ფრთით მოძრაობას უნდა ვერიდე-

ბოდეთ, განსაკუთრებით იმ ნაწილებით, რომელნიც მისგან ყველაზედ უფრო ახლო არიან; ასეთი მოძრაობა უნდა შეიცვალოს ცერად მოძრაობით, საომარ წესის სიღრმიდგან ნაწილების გაგზავნის საშუალებით.

47. ფარულ აღლუმობას განსაკუთრებით ხელს უწყობს ღამე.

48. მოძრაობის მიმართულების შეცვლა ბრძოლაში უნდა შესრულდეს რაც შეიძლება სწრაფად და ისე, რომ ამასთან არ შენეოდეს სროლა და მიმართულების შეცვლა ასრულდეს, შეძლების დაგვარათ, მტრისაგან შეუმჩნევლად.

მოძრაობის მიმართულების შეცვლისას უნდა იყოს ნაჩვენები მიმმართველი ნაწილი.

49. მტრისკენ კედაროთი მოძრაობა, ყოველ შემთხვევაში, შეერთებული უნდა იქმნეს იმის ფრთის მოვლასთან. მოვლა იმ სარგებლობას გვაძლევს, რომ ხელს უწყობს ცერად სროლას, ხელშემწყობ პირობებში კიდევ მტრის გასწორივი თოფვასაც კი; ამის გარდა მომვლელ ნაწილს შეუძლიან ხიშტით იერიში მიიტანოს მტერზე ამ უკანასკნელისთვის ყველაზე უფრო სახიფათო მიმართულებით.

50. მოვლისთვის ნაწილები უნდა იყოს დანიშნული მტრისაგან მოშორებით, ე. ი. წინდაწინ-

ვე; მტერთან მიახლოებისას, ეს ნაწილება შეუმჩნევლად წინ წაიწევენ გადგომით და შემდეგ შესცვლიან მიმართულებას იმდენად, რომ აღმოჩნდნენ მომვლელის მდგომარეობაში, რომლიდგანაც გადადიან გადამწყვეტ შეტევაზე.

მოვლა ნაწილებით, რომელნიც იგზავნიან მაშველებიდან ან საომარ უბნის ნაწილებიდან, მტრის მახლობლად, ძნელი შესასრულებელია; მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, თუ მდებარეობა და მდგომარეობა ხელს უწყობს, უნდა ვცდილობდეთ მოუაროთ მტერს წინ მომქმედ ნაწილების უფროსთა პირადი თაოსნობით და უკიდურეს შემთხვევაში განყოფილებითაც კი.

51. ქვეითა ჯარის მიერ აღლუმები სრულდება თანახმად **საველე სამსახურის წესდების 477-485 მუხ.**

III სროლა ქვეითა ჯარისა.

52. მტრის დამარცხება მიიხწევა თოფის და ტყვიაფრქვევის სროლის შეხამებით.

53. თოფის სროლა შეიძლება იყოს **თითოობლივ და დაშენითი**. თითოობრივი სროლა თავის მხრივ შეიძლება იყოს-**კანტიკუნტი (ნელი) და ჩქარი**.

როგორც პირველი ისე მეორე შეიძლება ვაწარმოვოთ ვაწინების განუსაზღვრელ ან დანიშნულ რიცხვით.

54. თითოობლივი სროლის უპირატესობას ის შეადგენს, რომ ყოველივე მსროლელი ჯ. კაცი ისვრის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი სრულიად მოემზადება მისთვის; ამიტომ თითოობლივი სროლა შეადგენს ქვეითა ჯარის სროლის უმთავრეს სახეს, თუკი მისი ხელმძღვანელობა სწორია.

55. დაშენით სროლის არსებით ნაკლს შეადგენს ის, რომ შეიძლება ყველა მსროლელი ჯ. კაცისთვის კარგად არ მოსჩანს მიზანი, განკარგულება თაფ! შესაძლოა გაიცეს მაშინ, როდესაც ნაწილი ჯ. კაცებისა არ იქნება სროლისთვის მზად და რომ ბრძოლის ხმაურობის გამო განკარგულება დაშენით სროლისთვის ყოველთვის არ ეყურებათ მსროლელ ჯ. კაცებს; მაგრამ დაშენით სროლის უპირატესობას შეადგენს ის, რომ მსროლელი ნაწილი იმყოფება უფროსის ხელში.

ამ თვისებათა მიხედვით დაშენა გამოიყენება: შორ მანძილიდან მნიშვნელოვან და დიდ მიზნების გამოსათოფად; სროლით დადევნებისთვის; ღამის იერიშის მოსაგერიებლად; გამიზნისთვის. დაშენის წარმოება შარში შეიძლება პატარა ნაწილებით, არა უმეტეს ოცეულისა.

56. ყველა გამოჩენილი სასროლი მიზანი შე-
ფასებულ უნდა იყოს ამჟამად მის მნიშვნელობის
მხრივ შესასრულებელ ბრძოლის ამოცანის მიმართ;
ამასთან სახეში უნდა ვიქონიოთ რაც შეიძლება დი-
დი დამარცხება მივაყენოთ მტერს.

უდიდესი დამარცხება მტრისა მიიხწევა ყო-
ველ გამოსათოფავ მიზნის წინააღმდეგ კედაროს
სროლის ფრთით სროლასთან შეხამებით, ან ცე-
რად სროლასთან მაინც, — რომ მიზანი ჯვარედინ
სროლაში გაგზავნოთ..

57. ამა თუ იმ მიზანში თოფის სროლის უდი-
დესი სინამდვილის მიხწევა ბრძოლის დროს მოი-
თხოვს: სროლის სისწორით მართვას; ყურადღებით
მოქცევას ყველაფერთან, ადგილ მდებარეობის პატა-
რა უსწორ-მასწორობასთანაც კი — სროლის მართველ
უფროსების მხრივ და ყოველ ცალკე მსროლელი-
საგან. ბრძოლის ველის თვალთვალს და სროლის
წესრიგიანობას (დისციპლინას).

58. ბრძოლის დროს საჭიროა ხოლმე თოფვა
მიზნებისა, რომელნიც ძალიან ცოტა ხნით გამოჩნ-
დებიან; ასეთ მიზნებში სროლა უნდა განვითარდეს
ხოლმე უკიდურეს შესაძლებლობამდის.

59. როდესაც მანძილი მიზნამდის ნამდვილათ
არ არის გაგებულნი ან მიზანი კარგად არ სჩანს ან,

დაბოლოს, მოძრავი მიზნის წინააღმდეგ — სასარგებლოა ხელოვნურათ იმდენეთად გავადიდოთ ტყვიის გაფანტვის ფოლოცი, რომ ამ შემთხვევაში გამოთოფილი მიზანი მოხვდეს გაფანტვის ფოლოცის შიგნით. ასეთი სროლა იწოდება **ფოლოცის თოფვად**.

ფოლოცის თოფვა იხმარება იმ შემთხვევაშიც, თუ ვიცით, რომ მტერი გროვდება საფარის უკან ან და რომელიმე ზღვარებშია მაგრამ ჩვენთვის დაუნახავია; მთელი ფოლოცი, რომელზედაც გროვდება მტერი, უნდა იქნეს გამოთოფილი თითოობლივი ან დაშენითი სროლით კორის სხვა-და-სხვა სიმაღლეზე დაყენებით.

60. თუ მტერი რომელიმე უსწორმასწორობაში გროვდება, რომელსაც ვერ ხედავენ ჩვენი მსროლელნი, მაგრამ სჩანს მსროლელ ნაწილების სათვალთვალო ადგილიდან, მაშინ ის შეიძლება დაზიანებულ იქნეს იმ ზღვარის ან თხემის გამოთოფვით, რომელიც მას ჰფარავს; ამასთან კორას სიმაღლე და სროლის მიმართულება უნდა შესწორდებოდეს მსროლელ ნაწილის სათვალთვალო ადგილის ჩვენების მიხედვით.

61. ტყვიამფრქვევები ახდენს დიდათ ჩქარ ავტომატიურ სროლას, რაიც იწვევს ვაზნების საგრძნობ ხარჯს.

ამის გამო, ბრძოლის დროს ვაზნების მიწოდების სიძნელის შემთხვევაში ტყვიამფრქვევის სროლის დაწყების მთავარ პირობებს შეადგენს: მიზნის წინშეწინააღმდეგობა და მისი საკმაოდ დაზიანების შესაძლებლობა; ამ პირობების დაუცველათ სროლის შედეგები ვერ გამოისყიდის ვაზნების ხარჯს.

62. ტყვიამფრქვევის სროლა მტერზე ახდენს მომსრავ ზნეობრივ შთაბეჭდილებას; მოკლე ხნის განმავლობაში დიდი ნაკლის მიყენების გამო; ტყვიამფრქვევის სროლას უფრო მეტი გავლენა ექნება, თუ იგი დაიწყოს მტრისთვის მოულოდნელად, და მასთან—განსაკუთრებით ფრთხილად.

ტყვიამფრქვევის სროლას საუკეთესო შედეგი მოაქვს მანძილებზე: დაწყებული ერთი ვერსიდგან და უფრო ახლო; ამასთან, ზიანის მიყენება დამოკიდებულია მიზნამდე მანძილის სისწორით განსაზღვრაზე, რასაც დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

64. ტყვიამფრქვევის სროლა რომ სასარგებლოთ იყოს მოწყობილი ბრძოლაში, ტყვიამფრქვევები არ უნდა იყოს დაგროვილი დიდ ჯგუფებად, ვინაიდან ამ გვარი მოთავსება არ შეესაბამება მათთვის; მაგრამ სროლის განუწყვეტლობის უზრუნველ საყოფად სასარგებლოა ოცულები არ და-

ნაწილნიდენ ხოლმე. საერთოთ ტყვიაფრქვევების პა-
ტარა ჯგუფებად მოთავსების დროს მათი დაფარვა
და მდებარეობასთან შეხამება (ნილაბობა) გაადვი-
ლებულია ხოლმე.

65. ტყვიაფრქვევები ისე უნდა მოთავსდეს, რომ
შეიძლებოდეს მათით ჯვარედინი სროლა მიზნებისა
ან და შეხამება ტყვიაფრქვევის სროლისა თოფის სრო-
ლასთან. განსაკუთრებით სასარგებლოა ტყვიაფრქვე-
ვების მოთავსება ისე, რომ შესაძლო იყოს მტრის
ფრთით სროლა.

66. ბრძოლაში რამოდენიმე ადგილი უნდა
იყოს ტყვიაფრქვევებისთვის აღნიშნული, აგრე-
თვე დაფარული გზები ტყვიაფრქვევების გადასატა-
ნათ ერთი ადგილიდან მეორეზე მისთვის, რომ
ტყვიაფრქვევების ადვილად მოძრაობის გამო, ისინი
შეიძლება გადატანილ იქმნენ და გიმოჩნდნენ იქ,
სადაც ამ წამში მათი დახმარება საჭიროა.

ტყვიაფრქვევებისთვის ადგილის ამორჩევის
დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ
იქიდგან დიდ ხანს შესაძლო იყოს სროლის წარ-
მოება საკუთარ ჯარების თოფის სროლის ქვეშ მო-
ყოლის უხიფათოდ.

67. პოლკის საომარ წესში ტყვიაფრქვევები
შეიძლება განაწილებულ იყოს ათასეულებში ან და-

ნარჩეს მთლად ან ნაწილი პოლკის უფროსის გამგე-
ბლობაში.

ათასეულის საომარ წესში ტყვიაფრქვევები
შეიძლება შევიდეს ასეულების საბრძოლო უბნების
შედგენილობაში, ან და ათასეულის უფროსს შეუ-
ძლია მისცეს მათ განსაკუთრებული ამოცანები.

ყოველ შემთხვევაში ტყვიაფრქვევთა უფროსს
ყოველისთვის უნდა ჰქონდეს მიცემული სავსებით
განსაზღვრული მიზანი, რომელიც მან უნდა შეასრუ-
ლოს მისი განკარგულებაში მყოფ ტყვიაფრქვევე-
ბის სროლით; მიზანს უჩვენებს ის უფროსი, რომელ-
საც ემორჩილება ტყვიაფრქვევების უფროსი.

დაწვრილებითი ცნობები ტყვიაფრქვევების
სროლის ოვისებებზე და მათ მოთავსებაზე ბრძო-
ლის დროს ნაჩვენებია **ტყვიამფრქვევის ქვეითა**
გუნდის წუობილების წესების 131—153 მუხ.

ქვეითა ჯარის სროლის მართვა.

68. **ქვეითა ჯარი იწყებს სროლას** შარის
უფროსების ბრძანებით, თუ მათი უზუნესი უფრო-
სების მიერ არ არი ეს აკრძალული.

საერთოდ, ქვეითა ჯარი უნდა ცდილობდეს
სროლის დაწყებას იმ მანძილიდან, საიდანაც შესა-

ძლოა მისი უდიდესი სინამდვილე მტრის საწინააღმდეგოთ. გამოჩენილ მიზნიდგან ერთ ვერსზედ მეტ მანძილზე სროლა შეიძლება დავიწყოთ მხოლოდ დიდ და მნიშვნელოვან მიზნისკენ.

სროლით არა საკმაო ზიანი ამხნევეებს მტერს და უნერგავს რწმენას ჩვენ წინააღმდეგ მოქმედების უშიშროებისას.

მე ყოველ მსროლელ ნაწილს, ენიშნება საკუთარ უფროსის მიერ, ან და თანახმათ მასზე უზენეს უფროსის რჩევისა, განსაზღვრული ამოცანა, რომელასც უნდა მიაღწიოს მან თავის სროლით.

მიზნები სროლისთვის ამოირჩევა თანახმად დასმულ ამოცანისა და გარემოებისა.

სროლა არ უნდა სწარმოებდეს ერთნაირად ყველა მიზნებისკენ; სახეში უნდა მიღებულ იქმნეს მათი მნიშვნელობა და მეტი დაჯგუფებით სროლა უნდა სწარმოებდეს უფრო მნიშვნელოვან მიზნებისკენ.

დიდ ერთეულისთვის ნაჩვენები სროლის მიზნები, მისი უფროსის მიერ განაწილდება უფრო პატარა ნაწილებში, რომელნიც შედიან ამ დიდს ერთეულში; ამ უფრო მცირე ნაწილებს მიზნის ჩვენებასთან ერთად დაესახებათ აგრეთვე განსაზღვრული მიზნები, რომლებიც მიხვეული უნდა იყოს სროლით.

70. მიზნებს აჩვენებენ, თუ შესაძლოა, ადგილობრივ საგნებით. ყოველი მსროლელი უნდა ხედავდეს თავის მიზანს, უჩინარ მიზნისკენ სროლის დროს კიდევ—უნდა იცოდეს იგი და მისი მოთავსების ადგილი.

71. მანძილი მიზნებამდის შეიძლება განისაზღვროს და შემოწმდეს:

ა) თვალმოხაზულობით; ამ იშკილზე გავლენა აქვს: ამინდის ვითარებას, მდებარეობის ფერს, განათებას, მდებარეობის აბურცებას, სიმრავლეს ან სრულიად არ არსებობას საშუალო ადგილობრივ საგნებისას.

ბ) შორსაზომით.

გ) გამოკითხვით მეზობელ ქვეითა ჯარის ნაწილებისა (ტყვიაფრქვევებისა) და არტილერიისა.

დ) გაზომვით დიდი მასშტაბის რუკაზე.

ე) წინასწარ გაზომვით მანძილისა რამოდენიმე ადგილობრივ საგნების და ზღვარებამდის; ეს იშკილი შეიძლება იხმარონ მოგერიების დროს.

ამის გარდა მიზნამდე მანძილის განსაზღვრის სისწორე, მაშასადამე კორის სიმალლისა, შეიძლება შემოწმებულ იქმნეს თოფით გამიზვნით, უბირატესად დაშენით, აგრეთვე ტყვიაფრქვევების სროლით.

72. ამორჩევა სროლის სახისა და სისწრაფისა ყოველ შემთხვევაში უნდა შეეფერებოდეს: მიზნის მნიშვნელობას, მის თვისებებს და იმ წარმატებას, რომელიც მიღწეული უნდა იქმნეს სროლით.

73. სროლის შედეგის თვალთვლება უნდა მოეწყოს მოთვალთვალეთა დახმარებით. თანახმად ამ თვალთვლების შედეგებისა შესწორებულ უნდა იქნენ ის განკარგულებანი, რომელნიც გაიცნენ სროლის წარმოებისთვის.

ამის გარდა, ყველა უფროსები და მსროლელნი, შეძლების დაგვარათ, მოვალენი არიან თვალი აღდევნონ თავის სროლის შედეგს.

74. სროლის წესრიგიანობა (დისციპლინა) მდგომარეობს:

ა) ყველა მსროლელის და ტყვიაფრქვევის მიერ შესრულებაში იმ მოთხოვნისებათა, რაიც აუცილებელია მარჯვე სროლისთვის;

ბ) შეგნებით შესრულებაში ყველა მსროლელის და ტყვიაფრქვევების მიერ უფროსებისგან გაცემულ ბრძანებათა;

გ) ყოველ ცალკე მსროლელის მიერ თითოობრივ სროლის წარმოებაში მიზნის მნიშვნელობის და გამოსათოფად არსებულ დროის შესაფერი სისწრაფით;

დ) სროლის დაუყონებლად შეწყვეტაში თვითონ მსროლელების მიერ მიზნის მიფარების ან განადგურების შემდეგ;

ე) მთელი ნაწილის და ყოველ მსროლელის მიერ სროლის სისწრაფით გადატანაში ერთ მიზნიდან მეორეზედ მნიშვნელოვან მიზნებზე შესაჯგუფებლად, აგრეთვე მიზნის გამოსათოფავად ცერა ან ფრთით სროლის და ჯვარედინი სროლის მისახვევად;

ვ) მსროლელთა იმ გვარსულებს სიმტკიცეში, რომელიც საშუალებას მისცემს უფროსთ, როდესაც საჭიროა, შეწყვიტონ სროლა ან გადაიტანონ სხვა მიზანზე;

ი) აღვიღმდებარეობის საუკეთესოდ სარგებლობაში ყოველი მსროლელის მიერ—სროლის სინამდვილეს გადიდების აზრით და მტრის მძლავრად დაზიანებისთვის.

თ) თავის შეკავებაში უაზროდ ვაზნების ხარჯვისაგან.

სროლის წესრიგიანობის აღსადგენათ უნდა მოიხსიან ღრობებით თითოობრივი სროლა და გადავიდეთ დაშენით სროლაზე, თუ განკარგულება ისმის; თუ განკარგულება ვერ ისმის, მაშინ ამავე მიზნით სასარგებლოა გადავიდეთ ვაზ-

ნების დანიშნულ რიცხვით თითოობრივ სრა-
ლაზე.



ვაზნების მიწედა ბრძოლის დროს.

75. სისწორით და თავის დროზედ ვაზნების შევსება მსროლელ ნაწილებში და ტყვიამფრქვევებისთვის საჭიროობს: ა) ვაზნების რაოდენობის ანგარიშს, რომელიც აქვს ყოველ მსროლელს შარში და ყოველ მომქმედ ტყვიამფრქვეველს; ბ) ვაზნების თავის დროზე მიტანას.

76. ვაზნების ანგარიში ყველა უფროსის მოვალეობას შეადგენს, დაწყებული განყოფილების მეუფროსისაგან. ყოველი მსროლელი მოვალეა სთვალოს ვაზნები, რომელიც მას აქვს, და თავის დროზე მოახსენოს განყოფილების მეუფროსეს, როდესაც მას რჩება ხელზე მხოლოდ ზედ სატარებელ ვაზნების თადარიგის ნახევარი.

77. მსროლელ ნაწილში ვაზნების მიტანასწარმოებს:

ა) სავაზნო ორთვალეებიდან, მიწოდებით მაშველიდგან საგანგებოთ დანიშნულ ჯ. კაცებით. ვაზნები მიაქვთ გახსნილ თუთიის ყუთებით, აგრეთვე დასტობლივ, ტყვიამფრქვევისთვის ჩაფარიშე-



ბით, ფარაჯის კალთებში, პარკებში ჩაწყობილი და სხ.; ამასთან ჯ. კაცნი, რომელთაც მიაქვთ ვაზნები ხშირად რჩებიან შარში;

ბ) საპალნით, ვირებზე, ჯორებზედ, ცხენებზედ მოზიდვით, თუ მათი გატარება შეიძლება ფარულად;

გ) ვაზნების მიცემით პირდაპირ ორთვალებიდგან, თუ მდებარეობა ხელს უწყობს ორთვალები მოვათავსოთ დაფარულად, მსროლელ ნაწილის მახლობლათ;

დ) კასრულებში მიგორებით ან ყუთებში, კალათებში, ბაწრების საშუალებით მოთრევით.

ე) ვაზნები შეიძლება მოტანილი იყოს მაშველებისაგან, რომელნიც გააძლიერებენ შარს.

78. ვინაიდან ვაზნების მიტანა საქმელოა, როდესაც ნაწილი ნამდვილ სროლის სფეროშია შესული — კარგი იქნება ამ სფეროში შესვლამდე დაურიგდეს შარის ჯ. კაცებს ზედმეტი ვაზნები ორთვალებიდგან, გაცარიელებული ორთვალები კი, დაუყონებლივ გაიგზავნოს შესავსებათ.

79. ასეულების და ათასეულის საბრძოლო უბნების გაცარიელებული ორთვალები მიდიან პოლკის სავაზნე ორთვალათა მოთავსების ადგილას, მათი მაგიერი კი იგზავნიებიან. ვაზნებით გავსებული პოლკის რიცხვიდან სხვა სავაზნე ორთვალები.

80. პოლკის გაცარიელებული სავაზნე ორ-
თვალეები შესავსებათ მიემართებიან მახლობელ საა-
რტილერიო ჯელგმის მეთაურ ეშელონებისკენ.
არტილერიის ჯელგმიდგან ვაზნებს აძლევენ ყო-
ველ მსაჭიროებელ ნაწილს, გინდაც ის ნაწილი არ
ეკუთვნოდეს იმ დივიზიის შედგენილობას, რო-
მელსაც ეკუთვნის ჯელგმა.

81. ვაზნების უზრუნველ ყოფის გასაადვილებ-
ლად ბრძოლის დროს საჭიროა ჩამოერთვას ვაზნე-
ბი დაჭრილთ და ამოსცალდეთ მოკლულთ.

IV. ხ ი შ ტ ი თ ი ე რ ი შ ი.

82. ხიშტით კვეთების მოსახდენ მოძრაობას ეწო-
დება იერიში. მიუხედავად მანძილისა, რომელზე-
დაც დაუახლოვდნენ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს;
იერიში უნდა დაიწყოს იმ დროიდან, როდესაც მო-
ქმედების მიზნის, გარემოების და მიღწეულ შედე-
გის მიხედვით დასდგა წამი ხიშტით კვეთებაზე გა-
დასასვლელად, ან როდესაც იერიშის შემხვედრე
მხარე შესამჩნევად შერყეულია ზნეობრივად.

ამის ნიშნები იქნება: უწყსრიგო და შესუსტე-
ბა სროლისა, აურზაური მტრის მოთავსების ადგი-
ლის და სხვა.

83. იერიშის მიტანა უნდა ხდებოდეს არამცთუ დასუსტებულ მტერზედ, არამედ მტერზედაც, რომელიც მზათ არის მკერდი-მკერდს შეგხვდეს, თუ ამას მოითხოვს ბრძოლის მიზნის მიღწევა და ჩვენების გამოხსნა.

84. იერიშის წარმატება საგრძნობლად დამოკიდებულია სწორეთ ამორჩევაზე და იერიშის მიმართულების ნათლად ჩვენებაზე, შესაძლებლობაზე ამოვირჩიოთ საუკეთესო წუთი იერიშის დასაწყისისთვის.

85. უნდა ვცდილობდეთ შევუერთოთ კედაროს იერიში მომვლელ მდებარეობიდან ფრთით იერიშს. ყოველი მოიერიშე ნაწილისთვის, სწორი მიმართულების შესანარჩუნებლად უნდა მკათიოდ ეჩვენოს მათ მტრის მოთავსებაში თვალსაჩინო უბანი ან ადგილობრივი საგანი.

86. იერიში უნდა იყოს სწრაფი, გადაწყვეტილი, სტიქიური, ვითა გრიგალი.

87. ქვეითა ჯარი გადადის იერიშზე და, მოძრაობის დროს, მახლობელ მანძილიდან გამოსთლავს თოფის და ტყვიაფრქვევების სროლით; თვით ხიშტით კვეთების წინ იგი აყრის მტერს ხელის გრანატებს.

მოულოდნელად მტრის თავწადგომის დროს



უნდა პირდაპირ იერიშით ეკვეთნეთ და არ უნდა იფიქროთ ჯერ გამოთოფვაზე.

ყველა უფროსები ბრძოლაში მოვალენი არიან, თავისი გავლენით და პირადი მაგალითით, შეუნარჩუნონ ხალხს შეტევითი ალტყინება და აიყვანონ იგი უმაღლეს სიძლიერემდე ხიშტით კვეთების დროისთვის.

88. იერიში და ხიშტით კვეთება, თუ მტერს ძალიან დაუახლოვდით, შეიძლება მოხდეს აგრეთვე საბრძოლო უბნის უფროსის თაოსნობით, ხან კი შარის რომელიმე უბანშიც, მიხწეულ წარმატების წყალობით და ხელსაყრელ გარემოების შექმნის გამო.

ამ შემთხვევაში მახლობელ ნაწილებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოიერიშეთ და განავითარონ მათი წარმატება.

ქვეითა ჯარის მეზობელი ნაწილები იერიშზე გადასულებს ეხმარებიან სროლით და ხიშტით იერიშის მიმღებ მტრის ან მის ნაწილების წინააღმდეგ, რომელნიც საიერიშოს გვერდით არიან; ამისთვის არ ელიან განსაკუთრებულ ჩვენებებს უზენეს უფროსებისაგან.

89. ტყვიაფქვევები დაეხმარება იერიშს და დაჰხვრეტს მტერს ახლო მანძილიდან; ამ მიზნით

იწვევენ იმისთანა ადგილებისკენ, საიდანაც მოხერხებულია, თავისიანებისთვის ვნების მიუყენებლად, აზიანოს მტერი, თუ შესაძლოა ცერად ან ფრთით სროლით.

90. ხიშტით კვეთებისთვის მოძრაობას უნდა წინ უსწრობდეს: შორიდან დათვალიერება ან ძიება საიერიშო მოწინააღმდეგისკენ მიმართულ მისაველებისა, აგრეთვე აღმოჩენა და შესუსტება მის მიერ გაკეთებულ ხელოვნურ დაბრკოლებებისა.

91. იერიში საჭიროა დამთავრდეს ხოლმე ენერგიულ დევნით და გამტკიცებით ჩვენთვის იმისა, რაც წართმეულია. დევნის მიზანია მოსრა მტრისა, ახალი წინააღმდეგობისთვის მოწყობის შესაძლებლობის მიუცემლად.

დევნა, თუ მოიერიშე ნაწილს შეუძლიან, უნდა სწარმოებდეს სროლით და მოძრაობით მტრის კვალ-დაკვალ.

შორს სადევნად უნდა დანიშნულნი იყვნენ ქვეითა ჯარისა უფრო დასვენებული ნაწილები. დევნის დროს უნდა იქმნეს მიღებული ზომები, რომ თავის დროს აღმოვაჩინოთ ჩასაფრებულნი, რომელნიც შეიძლება დააყენოს დახვეის დროს მტერმა.

92. თუ იერიში სასურფლად ვერ დაგვირ-

გვინდა, იგი უნდა განმეორებული იქმნეს იმ-
დენჯერ ვიდრე დასმული მიზანი შესრულებუ-
ლი არ იქნება. ამიტომ, ყოველივე არა წარმატე-
ბითი იერიშის შემდეგ ქვეითა ჯარი მაგრდება
მტრისაგან რაც შეიძლება მახლობლად, მოეწყობა
და ხელ-ახლა გადადის იერიშზე.

V. ასეულის მოქმედებანი.

შეტევა ასეულისა.

93. საომარ წესზე გაშლამდის ყოველი ასეუ-
ლი, რომელიც შეადგენს ასეულის საბრძოლ უბანს,
წინ იწევს წყობილებით, შესაფერისით ადგილის
მდებარეობის და მტრის სროლისა, ნაჩვენებ მი-
მართულებისკენ, იცავს რა თავს მზვერავებით.

იმის წინ, როდესაც ასეული უნდა გამოეყოს
ათასეულის სხვა ასეულებს, ასეულის უფროსს
გაცნობილ უნდა ექმნეს გარემოება ათასეულის
უფროსის მიერ. იმას უნდა გადაეცეს მთელი ათა-
სეულის მოქმედების მიზანი და უნდა მიეცეს
საომარი ამოცანა ასეულისთვის.

ასეულის უფროსი მოვალეა გადასცეს ეს ცნო-
ბები ასეულის ყველა კაცებს ოცეულების უფრო-

სების (თავების) და ათის თავების საშუალებით, მოაწყოს ძიება და თვალთვალება, აგრეთვე კავშირის დადგინება, ვისთანაც ჯერ არს.

94. ასეულის საომარ წესში გაშლამდე ასეულის უფროსი მოაწყობს და იწყებს მზვერავებით ძიებას მტრის მოთავსების და ძალისას, რომლის წინაღმდეგაც ასეული იმოქმედებს, და საუკეთესო მისაველებისას მტრისკენ; ამ გვარ ძიებას არ შესწყვეტს მთელი შეტევის დროის განმავლობაში.

95. ამ ხანაში შეტევა ხდება ნაბიჯით; მისი სასწრაფე გაუჩერებლივ მოძრაობით მიიხწევა; გაუდარბენა გამოიყენება ღია ადგილების, და მეტად კარგა გამოსათოფავ ადგილების გასაველელად.

96. პირად დათვალიერების და ძიების საფუძვლით ასეულის უფროსი მოისაზრებს **საკუთარ მოქმედების გეგმას.**

97. იმ დროისთვის, როცა ასეულისთვის სასარგებლოა დაიწყოს სროლა, — ის უნდა იყოს გაშლილი ასეულის უფროსის მიერ საომარ წესზე თანახმათ მოქმედების გეგმისა.

ყოველ შემთხვევაში, ასეული უნდა შევიდეს მტრის არტილერიის და თოფის ნამდვილ სროლის სფეროში, საომარ წესზედა უკვე გაშლილი.

98. ასეულის საომარ წესზედ გაშლამდე ასეუ-

ლის უფროსი უცხადებს თავის ასეულის ყოველ კაცს
ოცეულის (უფროსის) და ათის თავთა საშუალებით:
ა) რაც იცის მტრის და მეზობელ თავისიან ნაწი-
ლების შესახებ; ბ) როგორ აქვს გადაწყვეტილი
შეასრულოს ასეულისთვის მიცემული ამოცანა;
გ) საერთო მიმართულება ასეულის საომარ წეწისა;
დ) განაწილებას ოცეულებისას ჯარის ოცეულების
უბნებში ყოველ მათგანისთვის კერძო ამოცანების
გადაცემით და მაშველში; ე) ვაზნების ორთვალითა
და შესახვევ პუნქტების მახლობელ ადგილებს თუ
ასეულთან არის ტყვიამფრქვევები, მათაც აძლევს
ამოცანას. ოცეულის უფროსნი (თავნი) და ათის
თავები მოვალენი არიან აუხსნან ასეულის ყოველ
კაცს ასეულის უფროსის განკარგულებანი და უნდა
დარწმუნდნენ მასში, რომ ჯ.-კაცებმა გაიგეს და
შეითვისეს ყველაფერი ისე როგორც, საჭიროა ამო-
ცანის შესასრულებლად.

ასეულის გაშლა საომარ წესზედ შესდგება:
შარში და ასეულის მაშველში დანიშნულ ოცეულ-
თა წასვლა წამოსვლაში მოცემულ განკარგულება-
თა თანახმად საომარ წესში ნაშვენებ ადგილების-
კენ. ეს რამდენადაც შესაძლებელია მტრის თვალი-
საგან მოფარებით უნდა შესრულდეს.

ასეულის უფროსი დაადგენს თვალიერებას

ფრთების და ზურგისას, თუ ესენი არ არიან უზრუნველყოფილნი მეზობელ ნაწილების მოთავსებით, აგრეთვე ჰნიშნავს ბრძოლის ველის თვალყურის დევნებას.

99. შეტევის განმავლობაში ასეულის უფროსი მუდამ დაიკავებს კავშირს თავის ათასეულის უფროსთან და მეზობელ ნაწილებთან.

100. შარში ოცეულთა უბნების შეტევა უნდა ხდებოდეს ერთ სასროლ პოზიციიდან მეორეზე გადასვლით, ასეულის მაშველი წინ იწევს და ამასთან სარგებლობს საფარებით და გადადის ერთ საფარიდან მეორესთან.

მტრის ნამდვილ სროლის ქვეშ შეტევა ხდება გადარბენით და დაგროვებით შარის ოცეულის უბნისა სასროლ პოზიციებზე და ასეულის მაშველისა, თუ იგი არის, არსებულ ხაზარების უკან.

101. გადარბენა შარის ნაწილებისა სრულდება ადგილას დარჩენილ ნაწილების სროლის ქომავის ქვეშ. ახალ სასროლ პოზიციაზე გადარბენით დაუყოვნებლივ უნდა იწყონ სროლა მტრის წინააღმდეგ; მაგრამ განყოფილებით ან თითოობლივ მსროლელის გადარბენის შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს, რომ ახალ პოზიციაზე სროლის დაწყება

უკეთესი იყოს დაფაყოვნოთ განყოფილებების ან
ოცეულის დაგროვებამდის.

102. შეტევის მთელი განმავლობის დროს
ოცეულის უფროსნი (თავნი) შარში მოვალენი
არიან წინასწარად ამოირჩიონ ახალი სასროლი პო-
ზიციები და უჩვენონ ოცეულებს გადასვლის იშ-
კილები.

გაბმით მოთავსება, საერთო სწორება ან რაიმე
მუდმივი თანდათანობითი შეტევა ოცეულთა უბ-
ნებისა შარში — არ მოითხოვება.

ყოველი ოცეულის უბანი მიცემულ კერძო
მიზანს ასრულებს დამოუკიდებლად ასეულისთვის
მიცემულ საერთო მიზნის ფარგლებში. შარის ოცე-
ულთა უბნების შეტევის მთელი შინაარსი მდგო-
მარეობს იმაში, რომ იგი სწარმოობდეს მედგრად
რომ სროლა, როცა საჭიროა, ახწევდეს უდი-
დეს სიჩქარეს, რომ ყოველი უფროსი არ უშვებდეს
ხელიდგან თავის ნაწილების მართვას, რომ შარის
უბნებს ყოველთვის შეეძლოთ მხარი დაუჭირონ
ერთმანეთს სროლით და ხიშტიით და რომ შარის
ნაწილები არ უშლიდნენ ერთმანეთს მტრის წნააღ-
მდეგ სროლის წარმოების დროს.

საერთო ხელმძღვანელობა სროლის წარმოე-
ბაში, ახალ სასროლო პოზიციების ამორჩევის, მოძ-

რაობის წესისა და საერთოდ შეტევისა ეკუთვნის ასეულის უფროსს.

103. მაშველი თავის მოძრაობის დროს არ უნდა მისდევდეს შარს რომელიმე განსაზღვრულ მანძილზე; მაშველის უფროსს მიჰყავს ის სრულიათ დამოუკიდებელივ და ზრუნავს იმაზედ, რომ ყოველთვის იყოს მზათ დაეხმაროს შარს და ზიდიოდეს შესაფერ მიმართულებით და წესიერად ზოდრაობის დროს.

104. ასეულთან არსებული ტყვიაფრქვევები, სროლის დაწყებამდის, სასურველია მოდიოდეს ასეულის მაშველთან, რამდენადაც შეიძლება მტრის თვალიდგან მოთვარებით.

105. ნამდვილ სროლის სფეროში ასეულმა უნდა განავითაროს სროლა მტრის წინაღმდეგ და უნდა მიაყენოს რამდენადაც კი შეიძლება მეტი ზიანი, ამავე დროს არ უნდა ასუსტებდეს შეტევის სიმედვრეს, რადგანაც მხოლოდ ნამდვილ სროლის შეხამებით შეუდრეკელ მოძრაობასთან წინ შეიძლება მტრის ზნეობრივ ძალის შერყევა და მისი წინააღმდეგობის შესუსტება.

106. მომვლელ ნაწილებს დაენიშნებათ მოქმედების მიზანი და მიმართულება, რომელზედაც ის უნდა გავიდეს მოვლისთვის იმდენათ წინასწარად,

რომ მოვლა შესრულდეს რამდენადაც კი შეიძლება მტრისთვის შეუმჩნევლად.

107. თუ მტერს უკავია ადგილობრივი საგნები თავის მოთავსების მისაღლებზე, მაშინ ამ ადგილებიდან ის უნდა იქნეს განდევნილი სროლით და ხიშტიით.

108. შემტევმა ასეულმა ზომები უნდა მიიღოს გავლილ სივრცეს შენარჩუნების შესახებ, რათა მტერმა ვეღარ წაართვას ბრძოლით მოპოვებული ადგილები.

109. ხანდაკობას მსროლელნი მხოლოდ შარში მიჰმართავენ უფროსებს ბრძანებით იმ შემთხვევაში, როდესაც, ბრძოლის მიმდინარეობის მიხედვით უხდებათ სასროლ პოზიციაზე შეჩერება, ანდა წართმეულის გასამტკიცებად.

110. ყოველივე კერძო წარმატება, რომელსაც მიახწევს ასეულის რომელიმე ნაწილი უსათუოდ გაფართოვებულ უნდა იყოს მეზოზელ ნაწილების მედგარ მოქმედებით განსაკუთრებულ ჩვენებათა დაულოდნელად.

111. შეტევა დამთავრდება იერიშით და ხიშტიით კვეთებით.

112. იერიშის შემდეგ უნდა წესიერად მოეწყოს მოიერიშე ნაწილები, დაუყოვნებლივ მოხდეს

დადევნება უკუქცეულ მტრისა და ზომები უნდა იქნეს მიღებული წართმეულზე საფუძველიანად გამაგრების შესახებ; ასეული სდევნის მტერს უპირატესად სროლით, თუ კი შესაძლოა, მოძრაობითაც.

ასეულისგან წარმოებულ მოგერიება.

113. ასეულის უფროსი, მიიღებს რა ათასეულის უფროსისაგან საომარ ამოცანას და ადგილმდებარეობის უბანს, სადაც ასეულმა უნდა იმოქმედოს, აცნობს ამას ასეულის კაცებს, ოცეულის (უფროსის) და ათის თავების საშუალებით; ასეულს მოათავსებს ფარულათ მტრისაგან და თავს იცავს მზვერავებით.

ასეულის უფროსი მოაწყობს მტრის ძიებას, განუწყვეტლივ განაგრძობს მას მთელ მოქმედების განმავლობაში, და თვალთვალობას, ამასთანავე იკავებს კავშირს ვისთანაც ჯერ არს.

114. ასეულის უფროსი ირჩევს სასროლ პოზიციას და ადგილს ტყვიამფრქვევებისთვის, თუ ისინი ითვლებიან ასეულში, ამათ უფროსებთან ერთად. ამასთან იგი მოვალეა დაწვრილებით შეისწავლოს პოზიციისკენ კედაროს მხრივ და ფრთით მისავლები; აგრეთვე უნდა შეათვასოს ადგილმდებარეობა შეტევაზე გადასვლისთვის.

სასროლ პოზიციის ამორჩევის დროს უნდა მხარი აეაროს კარგათ შესამჩნევ ადგილობრივ საგნებს (როგორც ტყის ნაპირი) და უნდა წავიწიოთ წინ.

ტყის ნაპირის გასწვრივ შარის მოთავსების შემთხვევაში შეიძლება შიგნით შევიწიოთ, თუ ტყე თხელია და ხეები არ დაგვიშლიან სროლას.

სასროლი პოზიციის ამორჩევის დროს, უნდა შესწავლილ იქმნეს წინ მდებარე მიდამოს ყველა ოღროჩოღროები და ადგილობრივი დამალვის საშუალების მიმცემი საგნები, იმ აზრით, რომ ოცეულების მოთავსებით სასროლ პოზიციებზე შეიძლება დეს ჯვარედინი თოფვა პოზიციის წინ მდებარე მიდამოს და ყველა საფრების, რომლებითაც მოუხდება მტერს სარგებლობა.

ამორჩეული პოზიცია დაიყოფა ოცეულთა უბნებად.

ტყვიამფრქვევებისთვის ადგილის ამორჩევის დროს სახეში უნდა ვიქონიონთ, რომ ტყვიამფრქვევების მოთავსებით გავაუმჯობესოთ თოფით სროლა, აგრეთვე მივახწიოთ ფრთით სროლას მახლობელ პოზიციიდან მახლობელ ადგილისა, განსაკუთრებით კი მოფარებულ მისავლებისას.

115. ყოველი ოცეულის (უფროსი) თავი მო-



ვალეა: დაწვრილებით გამოიკვლიოს მისთვის ნა-
ჩვენებ უბნიდგან სასროლი სიშორის და უვნო
სივრცეთა მხრივ, განსაზღვროს შესამჩნევ ადგი-
ლობრივ საგნებამდე და ზღუდეებამდე მანძილი და
მოისაზროს მოთავსება თავის ოცეულის ისე, რომ
შესაძლო იქნეს თოფვა უვნო სივრცეებისა.

ტყვიაფრქვევების უფროსი შეისწავლის სას-
როლს ტყიამფრქვევლების მოსათავსებლიდ ამორ-
ჩეულ ყველა ადგილიდგან და ტყვიაფრქვევების
ერთი ადგილიდგან მეორეზე გადასასვლელ გზებს.

116 ასეულის **მაშველს** ასეულის უფროსის
მიერ ეჩვენება ადგილი.

117. მე- 114, 115, 116, მუხ. მოხსენებულის
შესრულების შემდეგ, თუ უკვე აღმოჩენილია მოწინა-
აღმდეგის შეტევა, ასეული იშლება საომარ წესზედ,
ოცეულები იგზავნიებიან შარში, ასეულის მაშველი
კიდევ იქერს ნაჩვენებ ადგილს; ასეულის უფროსის
ბრძანებით ჯ. კაცნი შარში, თუ საჭირო იქნე-
ბა, მაშველში და აგრეთვე ტყვიაფრქვევები იკეთე-
ბენ სანგრებს; სანგრები ინაღბება (შეხამდება),
რომ მტრისთვის შეუშინველნი დარჩნენ. ასეულის
ნაწილების და **ტყვიაფრქვევებისა წასვლა-წა-**
მოსვლა თავთავიანთ ადგილებზედ, სანგრების
კეთება შესრულებულ უნდა იქნეს მტრისაგან
ფარულად.



118 ასეულის გაშლამდე საომარ წესზედ, ასეულის უფროსი უცხადებს ასეულის ყველა ჯარისკაცებს ოცეულის (უფროსის) და ათის თავების საშუალებით: ა) რა იცის მოწინააღმდეგის და მეზობელ ნაწილების შეახებ. ბ) როგორ ფიქრობს შეასრულოს ასეულისთვის მიცემული ამოცანა გ) საერთო მიმართულება ასეულის საომარ წესისა. დ) გინაწილება ოცეულებისა შარის ოცეულთა უბნებში, ყოველ მათგანისთვის კერძო ამოცანის ჩვენებით. და მაშველში ე) მახლობელ ვაზნების ორთვალითა, შესახვევი ადგილები.

თუ ასეულში ტყვიაფრქვევებიც არის, იმათაც აგრეთვე მიეცემათ ამოცანა. ოცეულის (უფროსნი) და ათის თავები მოვალენი არიან აუხსნან ასეულის ყოველ ჯარისკაცს განკარგულებანი ასეულის უფროსისა და დარწმუნდნენ, რომ მათ გაიგეს და შეითვისეს ყველაფერი ისე, როგორც საქიროა ამოცანის შესასრულებლად.

119 ასეულის მცველი მზვერავები უკან გამოიწვევიან და რჩებიან მხოლოდ ფრთების და ზურგის მცველი მზვერავები, თუ ისინი გაგზავნილი იყვნენ.

ასეულის უფროსი ადგენს ბრძოლის ვეგლის

თვალყურის დევნებას მოთვალთაღეთა საშუალებით. შემდეგ მოქმედების მთელ ხანაში ასეულის უფროსი განაგრძობს კავშირს ათასეულის უფროსთან და მეზობლებთან.

120. შარი არ მოითხოვება გაბმული და თანასწორი მოთავსება მსროლელოთა; ადგილას შარი შეიძლება იყოს სქლად (ხშირი), ადგილას თხლად; რამოდენიმე ადგილები ასეულის უბანში შეიძლება სრულიათ არ იყოს დაჭერილი მსროლელების მიერ, მაგრამ მისაველები ამ ადგილისკენ უსათუოდ უნდა ითოფებოდეს.

ტყვიაფრქვევები მოთავსდებიან იქ, სადაც მათი დახმარება უფრო სასარგებლოა ბრძოლაში.

121. თუ ყველა მოსამზადებელ მუშაობის შემდეგ მტრის შეტევა არ აღმოჩნდება, მაშინ სასროლი პოზიციების მნიშვნელოვან ადგილებზედ რჩებიან მხოლოდ გუშაგები, ასეული კიდევ ასეულის უბნის ზურგში გადიყვანება და აქ მოფარებით მოთავსდება.

122. მოგერიებისას—მსროლელოთა შარი თავიდან მძლავრი უნდა უყოს; ამიტომ სხვა ასეულებთან ერთად მომქმედ ასეულში, შეიძლება ასეულის მაშველი სრულიად არ იყოს; მაგრამ ფრთის უბნის დამჭერ ასეულში, განსაკუთრებით კი მაშინ,

როცა ათასეულის მაშველი ფრთას მოშორებით ახლავს, სასურველია ასეულის მაშველში ერთი ოცეული მაინც დაიტოვოს.

123. მომგერიე ასეულის მიერ სროლის დაწყებამ შორი მანძილიდან შეიძლება მტერს სასახური გაუწიოს ჩვენი აქ მყოფობის და მოთავსების აღრეულად აღმოჩენაში; ამიტომ ერთ ვერსზედ მეტ მანძილიდან სროლის დაწყება შეიძლება მხოლოდ ბლომი მიზნებში, თუ ამის შესახებ აკრძალვა არ იყო.

მოწინააღმდეგის მიმართ ნამდვილ სროლის სფეროში შეტევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გამოთოფვასთან ერთად ძლიერი შეჯგუფული სროლა მიიმართოს უფრო მეტად მნიშვნელოვან მიზნებისკენ და იმ შემომტევ ნაწილებისკენ, რომელნიც ყველაზე უფრო წარმატებით წამოიწევენ, აგრეთვე იმ ადგილობრივ საგნებისკენ, ზღუდებისკენ და ფოლოცებისკენ, სადაც მოწინააღმდეგეს ქვეითა ჯარი გროვდება.

შეტევაზე გადასვლა.

124. ასეული შეტევაზე გადადის, დაძვლის რა მტერს სროლით ან როდესაც შეამჩნევს მის არევიდარევის.

125. ასეულის გადასვლა შეტევაზე ხდება უზენეს უფროსისა ბრძანებით ან თვით ასეულის უფროსის თაოსნობით, თუ შეტევა შექმნილ გარემოებისგამო გვიქადის წარმატებას; მაგალითად, როდესაც მოწინააღმდეგე შედრკა და შეტევის გაგრძელება აღარ შეუძლიან, აგრეთვე მხარის დასაქვრათ და მეზობელ ნაწილის გამოსახსნელად.

ასეულის უფროსი გადავა რა შეტევაზე, ატყობინებს ამის თაობაზე მეზობელ ნაწილებს და აგრეთვე ათასეულის უფროსს.

126. ასეულის შეტევაზე გადასვლისთვის საჭიროა მოქმედების განსაზღვრული მიზნის დაყენება.

127. შემოტევის წინააღმდეგ იერიშის შემდეგ, ასეულმა ხელში უნდა იგდოს ადგილობრივი საგნები, რომელიც უკავია მტერს და უნდა შეინარჩუნოს ისინი.

ასეულის შეტევითი ალტყინება მხარ დაქვრილ უნდა იქნეს მის მეზობელ ნაწილების მიერ, უზენეს უფროსისაგან საამისო განსაკუთრებულ განკარგულებათა დაულოდნელად.

128. თუ ასეული ვერ შესძლებს გადავიდეს შეტევაზე, მტრის მხრივ მარჯვე მოქმედების გამო, მაშინ იგი გამოსთოფავს, დააყრის ხელის ყუმბარებს ახლო მანძილიდგან და, უკანასკნელ წამამდე სარ-

გებლობს რა სროლით, თვით ეკვეთება ხიშტით, როდესაც მტერი მიესევა მომგერიებელს.

129. გამარჯვება ხიშტით კვეთებაში უნდა განვითარებულ იყოს დაუყონებლივ დადევნებით უკუქცეულ მტრისა თოფის და ტყვიამფრქვევის სროლით, თუ შესაძლოა, აგრეთვე მოძრაობით ფეხდაფეხ.

VI მოქმედებანი ათასეულინა.

ათასეულის შეტევა.

130. ათასეულის უფროსი, მიიღებს რა მოქმედების საერთო მიზანს, ბრძოლის ამოცანას, გააცნობს მას ასეულის უფროსებს და მიჰყავს თავისი ათასეული ნაწივნი მიმართულებით, ადგილმდებარეობის მიხედვით მოსახერხებელ წყობილებით. ამასთან, ათასეულის უფროსი აწყობს თავის ძიებას და აწარმოებს მას მოქმედების დროს განუწყვეტლივ, განაგრძობს კავშირს უფროსთან, რომელსაც იგი ექვემდებარება და მეზობელ ნაწილებთან, დაიცავს ათასეულს ბერაებით და მზვერავებით.

131. საკუთარ დაკვირვების და ძიების თანახმად ათასეულის უფროსი ადგენს მოქმედების გეგმას და უხსნის მას ასეულს უფროსებს გეგმის თა-

ნანახმად ათასეულის საომარ წესზე გაშლამდე ათასეულის უფროსი უცხადებს ასეულების უფროსებს: ა) რა იცის მტრის და მეზობელ ნაწილების შესახებ, ბ) როგორ ფიქრობს შეასრულოს ათასეულისთვის, მიცემული ამოცანა: გ) ასეულების განაწილებას საბრძოლო უბნეში და ათასეულის მაშველში; კერძო ამოცანებს, რომელიც ევალება ყოველ ასეულს და მათი მიმართულება. დ) სავაზნე ორთვალათა და შესახვევ ადგილებს; ე) ადგილს, სადაც იქნება თვითონ ათასეულის უფროსი, სად უნდა გაუგზავნონ მას დასმენანი.

თუ ათასეულთან იმყოფებიან ტყვიაფრქვევები, მაშინ იმათაც მიეცემა ამოცანა; თუ საჭიროა, ისინი დარიგდებიან ასეულის საბრძოლო უბნებში.

132. ათასეულის უფროსი აძლევს განკარგულებას ბერაებით და მზვერავეებით, ფრთების და ზურგის თვალყურის დევნებისთვის, თუ ესენი ხიფათაციებულნი არ არიან მეზობელ ნაწილების წყალობით და კავშირის ორგანიზაციისთვის ასეულის საბრძოლო უბნების უფროსებთან და ათასეულის მაშველის უფროსთან. აწესებს თვალყურის დევნებას ბრძოლის ველისას.

133. ათასეულის საომარ წესზედ გაშლა უნ-

და მოხდეს, მტრის არტილერიის სროლის გავლენის გარეშე, ე. ი. ღია ადგილზე 5—6 ვერსის მანძილზედ მტრიდან, დაფარულ ადგილზე-უფრო ახლო, მდებარეობის ხასიათის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში ათასეული უნდა გაიშალოს საომარ წესზედ იმდენათ აღრე, რომ ასეულების უროსებს დრო ჰქონდეთ თავისი ასეულები გაიყვანონ იმ ადგილზედ, სადაც მათ მოუხდებათ მოქმედება და მისთვის, რომ მათ შესძლონ გაგნება გარემოებაში.

134. ათასეულის გაშლა უნდა მოხდეს შეძლების დაგვარათ, ფარულად, რომ არ დავანახოთ ჩენი ძალა და ასეულების მოძრაობის მიმართულება.

135. ათასეული საომარ წესზედ გაიშლება იმავე ბერაების და მზვერაგების დაცვით, რომელნიც მას ამასწინეთ დაიცავდა; ასეულების წასვლა-წამოსვლის შემდეგ ეს ბერაები და მზვერაგები შედიან ასეულის საბრძოლო უბნების შედგენილობაში.

136. იმ დრომდის, ვიდრე შესაძლოა ადგილობრივ პირობების მიხედვით დავიწყოთ სროლა, ასეულის საომარ უბნების შეტევა უნდა ხდებოდეს ნაბიჯით, შეუჩერებლივ; ასეულებს შორის სწორება არ მოითხოვება; წყობილებები და ადგილთან შეგუება ყოველ ასეულში სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ ასეულებმა უნდა მუდმივი კავშირი იქონიონ

ერთმანეთთან და დაიცვან ნაჩვენები მიმართულება.

137. ათასეულის მაშველე მისდევს ერთერთ საბრძოლო უბანის უკან ან ასეულსა საომარ უბნების მიმართ გადგომით.

138. საერთოდ უნდა ვიქონიო სახეში, რომ გადგომა იმ სარგებლობას წარმოადგენს, რომ გვაძლევს საშუალებას მეტის დაფარულობით მოვახდინოთ მოვლა მტრის ფრთებისა, და ვეწინააღმდეგოთ ჩვენი ფრთების მოვლას მტრის მხრივ, აგრეთვე გვიადვილებს საომარ წესში მიმართულების შეცვლას და ხელს უწყობს მაშველებში საბრძოლო უბნისკენ მიმართულ სროლისგან ზიანის შემცირებას.

139. შეტევის დროს ათასეულის უფროსი ყველა ასეულებს მიჰმართავს ერთთურთის დახმარებისკენ, რათა აიხწყეულ იყოს ასეულისთვის შიცემული საერთო მიზანი. იგი მოვალეა დაწვრილებით შეისწავლოს მიდამო, რომ მისი განსაკუთრებული თვისებებით ისარგებლოს ათასეულის ნაწილების ერთმანეთისთვის საუკეთესოდ წასაშველებლად. ათასეულის უფროსი ჰხარჯავს ათასეულის მაშველს ახალ საომარ უბნების შესაქმნელად, საჭიროების დროს მით აძლიერებს ასეულის საბრძოლო უბნებს.

140. ყოველი ასეული, დანიშნული საბრძოლო უბანში, შეუტევს და იერიშს მიიტანს მტერზედ ამა დარიგების 93—112 მუხ. თანახმად.

141. გარემოების გამორკვევის შემდეგ და მოქმედებათა მიზნის თანახმად ათასეულის უფროსი საბოლოოდ აღნიშნავს ათასეულის თავდათავი კვებების მიმართულებას და გადაჰყავს ამ მიმართულებაზე ათასეულის მაშველი, თუ იგი შენახულია.

142. ათასეულის უფროსი გასცემს განკარგულებას შეჯგუფებულ სროლის შესახებ თავდათავი კვებების უბნისკენ, ამისთვის, გამომდინარეობს რა საერთო ამოცანისგან, ამოცანებს აძლევს ასეულის უბნებს და ტყიაფრქვევებს, თუ ესენი მის ხელქვეშ არიან.

143. ათასეულის უფროსი მოვალეა თვალყური ადევნოს, რომ ასეულების უბნებში არ შესუსტდეს შეტევის გადაწყვეტილება. თვის გავლენით და პირადი მაგალითით, გადამწყვეტ წუთში იგი აცხოველებს ჯ. კაცებში შეტევითი აღტყინებას.

144. ათასეულის უფროსი განკარგულებას გასცემს მტერზე იერიშით მისვლის შესახებ მთელი ათასეულით; ამასთან სცდილობს, რომ მტერზე კვებება და ზიანის მიყენება ხდებოდეს ათასეულის მთელი ძალების მიერ.

145. იერიში უნდა დამთავრდეს დადევნებით და მტრისაგან გამოგლეჯილის გამტკიცებით, სროლით დადევნებაში შეიძლება მიიღონ მო-

ნაწილეობა იერიშის შემდეგ შეგროვილმა ნაწილებმა, იერიშში უშუალოდ მონაწილეობათაგან.

მოძრაობით დადევნისთვის უკეთესია დანიშნონ ნაწილები, რომეთაც უფრო მეტად შეინარჩუნეს წესრიგი.

თუ მტერი განდევნილია ადგილობრივ საგნის ნაპირიდგან, რომელსაც აქვს სიღრმე, მაშინ მოიერიშე ნაწილები უნდა შეცვივდნენ ადგილობრივ საგანში, სდიონ უკუქცეულ მტერს ადგილობრივ საგნის მეორე ნაპირამდე, დაიკავონ იგი და სდიონ მტერს. თუ პატარა ნაწილები მოწინამდეგესი დარჩნენ ადგილობრივ საგნის შუა, მაშინ შექრულნი მასში არ უნდა გაიტაცოს მათმა დევნამ, ვინაიდან, თუ გამარჯვება დარჩა მოიერიშეს, ეს მცირე ნაწილები სულ ერთია მოსპობილნი იქნებიან.

146. იერიშის შემოვლელ ყველა მოქმედებებში წარმატება დამოკიდებულია, უმთავრესათ, ათასეულის და მის ხელქვეით უროსისა განკარგულებებზე, რომელნიც მოვალენი არიან მიიღონ ზომები აღადგინონ წესრიგი მოიერიშე ნაწილებში.

147. თუ იერიში სასურუვლად გერ დაგვირგვინდა, ის დაჯინებით უნდა განმეორდეს იქნობადის, ვიდრე დაყენებული მიზანი არ იქნება შესრულებული. არა სასურველ შემთხვევაში, მტერ-

თან რაც შეიძლება ახლო შეჩერდებიან, იჭერენ ადგილობრივ საგნებს, რომელნიც წინათვე იყვნენ ამისთვის დანიშნულნი შეტევის დროს. თუ საჭიროა, კაცნი სთხრიან სანგრებს და აქედან ხელახლა გადადიან შეტევაზე, რომელსაც იერიშით დააბოლავებენ. განმეორებულ შეტევის დროს უნდა სახეში იყოს მიღებული მოწინამდგვის მოთავსების ყველა განსაკუთრებანი და ადგილ მდებარეობის ყველა თვისებანი, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ თავდაპირველ შეტევის დროს.

მოფერება ათასეულისა.

148. ათასეულის უფროსს მაზედ უზენანს უფროსისაგან მიეცემა მოქმედების საერთო მიზანი, ბრძოლის ამოცანა და უბანი, სადაც ათასეულმა უნდა იმოქმედოს. ათასეულის უფროსი აყენებს თავის ათასეულს მოფარებით. ათასეულის უფროსი მოვალეა: მოაწყოს თავისი ძიება; დაადგინოს კავშირი უფროსთან, რომელსაც ემორჩილება და მეზობელ ნაწილებთან; დაიცვას ათასეული ბერაგებით და მზვერაგებით.

149. ათასეულის უფროსი მოვალეა დაწვრილებით გამოიკვლიოს: ა) მთელი ათასეულის პოზიცია;

ბ) წინ მდებარე ადგილი, ჩვენი სროლით დაზიანების მოწინააღმდეგისთვის მოსაველების და შეტევაზე გადმოსვლის თვალთა ხედვის ისრით; გ) პოზიციის ფრთების გარეთ მომგერიე ათასეულის მიერ ან მტრისაგან მოვლის მხრივ; დ) პოზიციის ზურგის ადგილ-მდებარეობა მოძრაობისთვის დაბრკოლებების მხრივ, მოსაგერიებლად გამოსაყენ ადგილობრივ საგნების მხრივ აქ არსებულ სასროლ პოზიციების სასროლ მანძილის გაფართოვებისთვის.

ადგილის შესწავლის დროს ათასეულის უფროსმა უნდა გამოარკვიოს მისი გავლენა ათასეულის ნაწილებზე ერთმანეთის დახმარების საქმეში: სროლის დაჯგუფების მხრივ მისაველებზე და უფრო სივრცეებზე; მაშველების მოძრაობის მხრივ გამოსახსნელად; სასროლი სივრცის გასადიდებლად შეიძლება გაიწმინდოს ადგილი; გამოსახსნელად მოძრაობის გასადვილებლათ გასაველები კეთდება არსებულ დაბრკოლებებში.

150. ადგილ მდებარეობის მიმოხილვის შემდეგ პოზიცია იყოფა უბნებად, რომლების საზღვრები ადგილობრივი საგნებით განისაზღვრება, ათასეულის მაშველის ადგილი აგრეთვე ადგილობრივ საგნებით აღინიშნება იმ ასეულის საბრძოლო უბნის უკან,

რომელიც ითვლება ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანად ან გადაგომით.

151. მოგერიების სიმედვრე მიიხწყევა დასაყრდნობ პუნქტების დაკერით და შენარჩუნებით.

დასაყრდნობი პუნქტები შეიძლება შესდგებოდეს ცალკე ადგილობრივ საგნებიდგან, რომელიც მოსაგერიებლად მოწყობილია, სანგრებიდან, სანგრების და ადგილობრივ საგნების ჯგუფისაგან. დასაყრდნო პუნქტებთან და მათ ჯგუფებთან მისავლები, აგრეთვე მათ შუა ადგილები თოფის და ტყვიმფრქვევების ნამდვილ სროლით ჯვარედინათ უნდა ითოფებოდეს და ხელს არ უნდა უშლიდეს შეტევაზე გადასვლას.

ამის გარდა შეიძლება სახეიროდ გამოყენება ფილთა მების მტრის ასეთსავე იარაღთან საბრძოლველად და არევიდარევის შესატანად მოიერიშეს რიგებში, უფრო კი ზნეობრივ ხასიათის ზეგავლენის მოსახდენად; შემოსატევე შენებათა დასაშლელად და საამისო მუშაობის გასაძნელებლად. იგი მოთავსდება ადგილობრივ საგნების ან სიმაღლეთა ზურგის ფერდობის უკან, თუ ეს მოუხერხებელია, განსაკუთრებულ ორმოებში, სანგრებს მოშორებით.

სასურველია მათი ადგილების ცვლა, როგორც კი მტერი მათ აღმოაჩენს.

მტრის შეცდომაში შესაყვანად ფილთა მეხე-
ბით მოქმედების დროს, კარგია მოვახდინოთ ხოლ-
მე ბოლის ამობოლოქვა. ხელის ყუმბარები წარმატე-
ბით იხმარება შემდეგ შემთხვევაში: მტრის გამოხ-
დომის დროს, მძიებელთა უკუსაგდებლად და მტრის
საფარ-შენობათა დასანგრევად; მტრის გუნდების წი-
ნალმდეგ, რომელნიც ხელოვნურ დაბრკოლებებში
გასავლების გაკეთებას ცდილობენ; იერიშის მოსა-
გერიებლად ყუმბარებით სროლაში მონაწილეობის
არ მიმღებ ჯ. კაცებით; ჩვენი შეტევის დროს მტრის
სიმაგრეების შიგნით მოქმედებითვის.

დასაყრდნობი პუნქტები მოეწყობა როგორც
ასეულის საბრძოლო უბნებში, აგრეთვე მათ
ზურგში, ათასეულის პოზიციის შიგნით სივრცე-
ზე. ამ პუნქტების დანიშნულება შეძლება მისცეს
მოგერიებამ იწარმოვოს პოზიციების შიგნით სივრ-
ცეზეც, თუ მტერმა დაახვეინა მომგერიებელს მის
მოთავსების კედაროს რომელიმე ადგილიდგან.

152 ყველა მოსამზადებელი მუშაობა უნდა
შესრულებული იყოს მტრისგან მოფარებით.

153. დაყენებულ მიზნის, ადგილის თვისების
და მტერზე ცნობების მიხედვით ათასეულის უფრო-
სი ადგენს მოქმედების გეგმას, რომელიც უნდა
იკოლეს ყველა ასეულის უფროსმა.

პოზიციის დაქვრამდე ათასეულის უფროსი უცხადებს ასეულის უფროსებს: ა) რა იცის მოწინააღმდეგის და საკუთარ მეზობელ ნაწილებს შესახებ; როგორ აპირებს შეასრულოს ათასეულისთვის მიცემულ ამოცანა გ) განაწილებას ასეულებსას საბრძოლო უბნებში და ათასეულის მაშველში; კერძო ამოცანებს, რომელიც ევალება ყოველ ასეულს; დ) სავაზნე ორთვალათა და შესახვევის ადგილებს ე) ადგილს, სადაც იქნება ათასეულის უფროსი, სად გამოუგზავნონ მას დასმენანი.

თუ ათასეულში იმყოფება ტყვიაფრქვევები, მათ ეძლევათ ამოცანა; თუ საჭიროა, ისინი განაწილდებიან ასეულის საბრძოლო უბნებში.

154. ათასეულის უფროსი გასცემს განკარგულებას ფრთების და ზურვის თვალაფრების შესახებ, თუ ეს ადგილები დაცულები არ არის მეზობელ ნაწილებით; ადგენს ბრძოლის ველის თვალ-ყურის დევნებას, აწარმოებს განუწყვეტელ ძიებას; გასცემს განკარგულებას დაარსდეს კავშირი ასეულის საბრძოლო უბნების უფროსებისგან, ტყვიაფრქვევების უფროსებისგან, თუ ესინი არ შედიან ასეულის უბნების შედგენილობაში, ათასეულის უფროსთან და აგრეთვე ათასეულის მაშველის უფროსისგან მასთანვე.

155. თავის უბანში ყოველი ასეულის უფროსი მოემზადება მოგერიებისთვის და მოქმედობს, ისე როგორც ნაჩვენებია ამა დებულებისა 113-129 მუხ.

156. ყოველ შემთხვევაში, სასურველია, რომ ასეულები წასულ-წამოსულები იყვნენ თავთავიანთ უბნებში მტრის მხრივ არტილერიის სროლის დაწყებამდე და იმდენად აღრიხნად, რომ ასეულების უფროსებს საშუალება ჰქონდესთ შეისწავლონ ადგილ მდებარეობა და გარემოება, რომელშიაც მათ მოუხდებათ მოქმედება, აგრეთვე, რომ ასეულებმა მოასწრონ სანგრების მოთხრა და მათი შენაღბვა. მოძრაობა ასეულებისა თავ-თავიანთ უბნებისკენ უნდა შესრულებულ იყოს მტრის თვალიდგან მოფარებით.

157. მომგერიებლის საერთო მისწრაფება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გამოიყენოს ადგილ მდებარეობის შესახებ ცოდნა, სროლით შეაფერხოს შეტევა, მიაყენოს მას რაც შეიძლება მეტი ზიანა, დაშალოს იგი, გამოუღიოს ზნეობრივი ძალა და ამის შედეგ თვით გადავიდეს შეტევაზე.

158. ათასეულის შეტევაზე გადასვლისთვის საჭიროა მას დაესვას მოქმედების განსაზღვრული მიზანი.

159. მტრის შეტევის გასაძნელებლად, კარგია მაშველის ნაწილებით მოვლას მიემართოს ხოლმე.

160. თუ ათასეულის რომელიმე ნაწილმა მი-
აღწია კერძო წარმატებას, ამას მხარი უნდა და-
უჭიროვნ და განავითარონ მეზობელ ნაწილებმა
ათასეულის მოქმედების საერთო მიზნის მიხედვით.
მიშველების ერთმანეთის გამოხსნის საუკეთესო იშ-
კილად ითვლება მეზობელ ნაწილების მიერ შეტევა-
ზე გადასვლა.

161. ათასეულის ნაწილების ერთანეთის და-
ხმარების წარმატება მოითხოვს ათასეულის უფრო-
სისაგან, რომ იგი გულმოდგინეთ ადევნებდეს თვა-
ლს ბრძოლის მსვლელობას და, გარემოების გამოც-
ვლის თანახმად, დროზე მიაწვდიდეს განკარგულებებს
ათასეულის ნაწილებს.

შეტევაზე გადასვლა.

162. ათასეული გადადის საერთო შეტევაზე
ათასეულის უფროსის ბრძანებით. შეტევაზე გადა-
სვლისთვის ყოველი ასეულის უბანს და ათასეულის
მაშველს ენიშნება მოქმედების მიზანი და აგრეთვე
ეჩვენებათ თავდათავი კვებების მიმართულება.

163. ზოგიერთ შემთხვევაში ათასეულის გადა-
სვლა საერთო შეტევაზე შეიძლება მოხდეს რომე-
ლიმე ასეულის მისაშველებლედ, რომელიც გადავი-

და შეტევაზე კერძო თაოსნობით, მიღწეული წარ-
მატების გასავითარელად; მაგრამ ამისთანა შემთხვე-
ვაშიც ასეულებს უნდა მიეცეს განსაზღვრული ამო-
ცანები და ათასეულის მაშველი უნდა იყოს გაგზა-
ვნილი თავდათავი კვეთების გასავითარებლად, რო-
მელსაც ახდენს ერთერთი საბრძოლო უბანი

164, იერიში უნდა დაბოლოვდებოდეს მო-
წინააღმდეგის ღვევით და გამტკიცებით იმისა,
რაც მას წაერთვა (მუხლები 145 და 146.)

165. თუ ათასეულს ვერ მოუხერხდება შეტე-
ვაზე გადასვლა, მაშინ, გამოსთოფავენ რა მტერს
თოფით და ტყვიამფრვევებით და, მახლობელ
მანძილისგან მიაყრიან რა ხელის ყუმბარებს, ასეუ-
ლები მიესევნიან ხიშტებით იმ ღროს, როცა მტერი
თვით ეკვეთება მომგერიებელს.

166. მარცხის შემთხვევაში ასეულები უნდა
შედგნენ პოზიციის შიგნითა სივრცეზე და მის ზუ-
რგში, ამასთან სახილგან არ უშვებს შეტევაზე
გადასვლას, როგორც კი საამისოდ ცოტა რამ ხელი
მოეწყობა. ამ ღროს დიდს დახმარებას გაგვიწევს
დასაყრდნობი პუნქტები პოზიციის შიგნით, აგრეთვე
ჯვარადინა და ფრთით სროლა პოზიციაზე შემო-
ჭრილ მტრისა, განსაკუთრებით კი ტყვიამფრქვებიდ-
გან. შემდეგ, მომგერიებმა ძნელად უნდა დაუთმოს

დაქერილ ადგილის ყოველი ნაბიჯი, შეასუსტოს მტერი სროლით და, შეუჩრქვეს რა ხელშემწყობ დროს, გადავიდეს შეტევაზე.

167. მოგერიებისას თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება მტრისაგან შესაძლებელ მოვლას, რათა დროზე იქმნეს მიღებული საწინააღმდეგო ზომები და არ დაუშვათ, რომ მტერმა იერიში კედაროზე შეუერთოს ფრთით ჩვენს იერიშს.

VII მტრის მახლობლად დახვევა.

168. დახვევა გვიხდება 1) მარცხი იერიშის შემდეგ და 2) როდესაც არა გვაქვს მხედველობაში მიიყვანონ საქმე ხიშტით კვეთებამდე, არამედ საჭიროა მხოლოდ შევაფერხოთ მოწინააღმდეგე და არ შევებნათ მას მედგრად.

169. მარცხ იერიშის შემდეგ, იძულებით დახვევის შემთხვევაში უფროსნი მოვალენი არიან თავის ნაწილების საჩქაროდ დაწყობის შემდეგ, მახლობელ ადგილობრივ საგნების და ხელსაყრელ სასროლ პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდნენ, რათა კრიჭაში მომდგარ მტერს მტკიცე მუშტი მოუღიროს და მოამზადოს შეტევაზე გადასვლის წარმატება.

170. თუ უფროსების ხელში დარჩნენ ქვეითა

ჯარის ხელუხლები ნაწილები, ისინი მოვალენი არიან შეაჩერონ ფეხდაფეხ მომდევნი მტერი თავის სროლით და ხიშტით კვეთებით და იმოქმედონ, თუ შესაძლოა, ფრთებიდგანაც.

171. ხიშტის კვეთებამდე დახვევის დროს ყოველ ნაწილს უნდა ჰქონდეს ნაჩვენები მოქმედების მიზანი, აგრეთვე პოზიცია ან ადგილობრივი საგნები, რომლებიც მათ უნდა დაიჭირონ.

172. დახვევას იწყებს მაშველები, რომელნიც მოვალენი არიან იქონიონ სახეში ის მიმართულება და მდებარეობის უბნები, საიდანაც მათთვის ყველაზე უფრო მოხერხებულია, თუ საჭიროება მოითხოვს, გადავიდნენ შეტევაზე.

173. ასეულის უბნები გადგომით იხევენ; შარის ოცეულის უბნები იხევენ ერთ სასროლ პოზიციიდან მეორეზედ ასეულის უფროსის ჩვენების თანახმად.

174. დახვევის ორივე შემთხვევაში საბრძოლო უბნებმა უნდა განაგრძონ კავშირის დაკავება ერთმანეთთან, მათი უფროსები მახვილი თვალით უყურებენ იმას, რომ მოწინამდევემ ვერ მოახერხოს გარღვევა და დამხვევ ნაწილების მოთავსებას არ მოუშაროს; ამის წინააღმდეგ დროზე მიიღებენ ზომებს.

175. დახვევის დროს გულმოდგინეთ უნდა ით-



ვლიეროს და უზრუნველ იყოს საფრთხისაგან ჩვენი ფრთები.

176. საომარ წესის რომელიმე ნაწილის იძულებითი დახვეწის დროს, მეზობელი ნაწილებმა თავისი გადაჭრილ მოქმედებით მტრის წინამდევ უნდა გაუადვილონ დამხვევ ნაწილს წესრიგის აღდგენა და კვლავ შეტევაზე გადასვლა.

VIII. მოქმედებანი პოლკისა, ბრიგადის და დივიზიის.

177. პოლკი, ბრიგადა და დივიზია, საერთოდ, სვება გვარ იარაღებთან ერთათ მოქმედობენ; ამიტომ გაშლა მათი საომარ წესზედ და შემდეგ მოქმედებანი შესრულდება საველე სამსახურის წესდების დებულებათა თანახმად.

178. მოქმედებანი ათასეულების და ასეულებისა განვითარდებიან, როგორც ეს ნაჩვენებია ამ დარიგების 93 — 167 მუხ.. პოლკის, ბრიგადის და დივიზიის ბრძოლა არ უნდა ნაწილდებოდეს რამოდენიმე ცალკე მოქმედებებათ ერთეულების, ჩონელნიც შედიან მათ შედგენილობაში.

ქვეითა ჯარის ყველა ნაწილები უნდა ცდილობდნენ მიახწიონ ბრძოლის საერთო მიზანს დაეხმარონ ერთმანეთს და ერთმანეთი გამოიხსნან.

179. ძიება, ფრთების და ზურგის თვალთვალი, თვალყურს დევნება ბრძოლის ველისა, თუ საჭიროა, მტრის თავდასხმისაგან უზრუნველყოფა ფრთების და ზურგისა, კავშირის გაბმა—მოეწყობა და სწარმოობს საველე სამსახურის წესდების თანახმად.

IX. ცხენოსან ჯარის იერიშის შეხვედრა.

180. ცხენოსანისთვის მკაცრი წინაღმდეგობის გაწევისთვის ქვეითა ჯარის მიერ უპირველესად საჭიროა, რომ ქვეითა ჯარის კაცს რწმენა ჰქონდეს თავის სროლის და ხიშტის ძალისა და დარწმუნებულ იყოს, რომ სანამდე ის რჩება ცხენოსანის პირისპირ და არ დაბნეულა, ის მისთვის საშიში არ არის.

181. ცხენოსან ჯარის იერიშის შესახვედრათ ქვეითა ჯარი სროლას იწყებს ცხენოსანის წინააღმდეგ იმ მდგომარებიდან და წყობილებიდან, რომელშიაც მას მოასწრო ცხენოსან ჯარის წამოქროლამ.

182. მსროლელნი შარში არ სტოვებენ თავის ადგილს, მხოლოდ ვისთვისაც საჭიროა, ისინი იცვლიან მდგომარეობას მოიერიშე ცხენოსანის უკეთესად გამოსათოფავად.

ოცეულები შარში აწარმოებენ ცხენოსნის წინააღმდეგ თითოობრივ ხშირ სროლას ან დაშენით სროლას, თუ განკარგულებების გაგონება შესაძლებელია; უკანასკნელი გასროლა—პირში მიხლით.

183. თუ ცხენოსანი ჯარი წამოუქროლებს ქ. ჯარს, რომელიც გაშლილ წყობილებაში ან რაზმად დაწყობილია, მაშინ ქვეითა ჯარის უფროსების საზრუნავს შეადგენს ის, რომ ცხენოსან ჯარის გამოთოფვაში მიიღონ მონაწილეობა რაც შეიძლება მეტმა მსროლელმა; მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ უნდა ცდილობდნენ რთული გადაწყობ-მოწყობას, რადგან უკეთესია შეხვდეთ ცხენოსან ჯარს ერთბაში სროლით იმავე წყობილებიდან, ვიდრე დაშალოთ საუკათრი ნაწილი ფაციფუციით გადაწყობ-მოწყობით.

დაშლილი ქვეითა ჯარი იოლი ნადავლია ცხენოსან ჯარისთვის.

184. ქვეითა ჯარის მეზობელი ნაწილები მოვალენი არიან თავისი სროლით დაეხმარონ იერიშ გამცდელ ნაწილებს და მოამწყვდიონ ცხენოსანი ჯარი ჯვარედინ სროლის ქვეშ.

185. თუ ცხენოსანმა ჯარმა წამოუქროლა ქვეითა ჯარს ფრთებით, მაშინ ფრთის ქვეითა ნა-

წილები მოვალენი არიან მიბრუნდნენ პირით წამო-
მქროლებისკენ და დაუწყონ მათ სროლა.

ცხენოსან ჯარის ქვეითა ჯარზე ფრთით იერი-
შის მიტანის დროს შეხვედრის საუკეთესო იშკი-
ლად ითვლება ცხენოსნის თოფვა მეზობელ ნა-
წილების მიერ ფრთით, განსაკუთრებით, თუ ეს
ნაწილები სდგანან იერიშ გამცელდ ფრთიდგან
გადგომით.

186. ცხენოსან ჯარის იერიშის შეხვედრის
დროს დიდს დახმარებას აღმოუჩენს ტყვიამ-
ფრქვევები ცხენოსნის ფრთების წინაღმდეგ მოქმე-
დებით, თუ ისინი ამასთან არ დააზიანებენ საკუთარ
ჯარს.

187. იმ შემთხვევაში, თუ, მიუხედავად ქვეითა
ჯარის სროლისა, ცხენოსანი ჯარი მაინც შეიჭრება
მის მოთავსებაში, ჯარისკაცებმა უნდა შეადგინონ
ჯგუფები პირით ცხენოსნისკენ, რომ ერთი კაციც
არ იყოს ზურგით ან გვერდით მდგომი ცხენოსან
ჯარის მიმართ.

188. თუ ცხენოსანი ჯარი გაბრუნდა და მი-
დის, მაშინ უნდა სდიონ მას ხშირი სროლით და
ტყვიაფრქვევებით; ამასთანავე ქვეითა ჯარი უნდა
მოყვანილ იქნეს წესრიგში და უნდა მოეწყოს,
რადგანაც მოსალოდნელია ცხენოსნის განმეორები-
თი იერიში.



X. მოქმედებანი ღამით.

189. ქვეითა ჯარი უნდა სარგებლობდეს ღამის სიბნელით მოულოდნელად თავდასხმისთვის, მტერთან მიახლოებისთვის და იმ მოძრაობათა შესასრულებლად, რომელნიც მოითხოვენ დაფარვას (მაგ.— წაწევა მომვლელ მდგომარეობის შესაქმნელად, მაშველის აღლუმი და სხვა), თუ რაიმე მიზეზით დღისით შეუძლებელია ეს შესრულდეს.

190. გეგმა ღამის მოქმედებისა უნდა იყოს სადა და მისი შესრულება გულდასმით მომზადებული, განსაკუთრებით — ყველა უფროსების გაცნობით მოქმედების გეგმასთან, მოწინამდევის მოთავსებასთან, აგრეთვე ადგილის შესწავლით, როგორც დღე, ისე ღამე.

191. ღამე ყოველივე მოქმედების დროს უნდა იყოს დაცული **სრული სიჩუმე**, რაიც ხელს უწყობს მოქმედების მოულოდნელობას და მოძრაობის დაფარულობას.

192. საომარ წესზედ გაშლა უნდა ხდებოდეს მტრის მახლობლათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მასზედ ისეთ მანძილზე, რომ მტერმა ეს ვერ აღმოაჩინოს. გაშლის წინ საჭიროა ნაწილები შეჩერდნენ. საომარ წესის ყველა ნაწილები უფ-

რო ახლოს უნდა მოთავსდნენ ერთმანეთთან, ვიდრე დღისით, და უკავშირდებიან ერთი მეორეს როგორც კედაროზე, ისე სიღრმეზე **მზვერავებით** ან თითობრივ **ჯ. კაცების ჯაჭვით.**

193. ღამით ყველა მოქმედების დროს საომარ წესის ნაწილებმა მტკიცედ უნდა დაიცვან ნაჩვენები მიმართულება, მიუხედავად შესრულების სიძნელესა. ნაწილებმა რომ არ დაკარგონ ნაჩვენები მიმართულება, საჭიროა, საომარ წესის მოწინავე ნაწილებში მაინც იყვნენ გამყოლები, რომელმაც კარგათ იცოდნენ მიდამო.

უკან მომავალ ნაწილებისთვის მოძრაობის მიმართულების საჩვენებლათ შეიძლება წინ მიმავალ ნაწილებმა ჩასხან ფარული ფარნები, *) ან ფიცრები, წასმული ერთი მხარეზედ მაშუქარ შენახავით. ხან კიდევ შეიძლება მოძრაობა მიიმართოს უკან დანთებულ ორ კოცენების სწვრივობით.

194. ღამე მოქმედების დროს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან **პროუექტორებს.** მათი ხმარების შესახებ მოხსენებულია ამა დარიგების 206—219 მუხ.

*) ფართულა ფარანების და მაშუქარ ფიცრების ხმარების დროს უნდა ფრთხილად მოვეკიდნენ, რომ შემთხვევით არ მივაბრუნოთ მტრისკენ და ამით არ აღმოვიჩნდეთ შემჩნეულნი მისგან.



195. შეტევისას ქვეითა ჯარი ხმარობს წყობილებას ას-ასეულად შევიწროვებულ მანძილებით და ხანებით.

ყოველი ასეული ოც-ოცეულ წყობილებაში ან გაშლილია ადგილ მდებარეობის, სიბნელის სიძლიერის და მოწინააღმდეგიდგან სიშორის მიხედვით; რამდენათაც ახლოა მოწინააღმდეგე იმდენათ ქვეითა ჯარის წყობილება თხელია, რადგან იმდენათ უფრო მოსალოდნია მის მიერ სროლის დაწყება.

მოძრაობის და შეჩერების დროს, საერთოთ, უკეთესია ვისარგებლოთ დაბლობებით, რადგანაც ღამე ზევით უკეთ მოსჩანს, ვიდრე ქვევით. შეტევისას უნდა ვერიდნეთ ისეთ ზღუდეებთან ან ადგილობრივ საგნებთან დადგომას, რომლებამდისაც მტერს შეეძლო გამიზვნა მოეხდინა ჯერ ისევ თვალნათლივ.

196. შეტევისას სიბნელეში სროლა აკრძალულია. თუ შეტევით ნაწილი წააწყდება მოწინამდგის დასს, იგი უნდა მოსპობილ იქმნას უხმაუროთ ან უნდა შეიპყრნენ.

მოწინამდგესთან მოახლოვების დროს, საქმე ხიშტით კვეთებით უნდა დამთავრდეს.

197. ფრთები და ზურგი უნდა გულმოდგინეთ დაცულ იქმნას.

თუ გადაწყვეტილია იერიშის მიტანა ღამით, მაშინ მძიებელი ორგანოები და დამცველი ნაწილები შორს არ წაიწვევა, რომ არ წამოშალონ მოწინამდევე.

198. მოგერიებისას, თუ შესაძლოა მოწინააღმდეგის მხრივ იერიში, თავდაცვა მითუფრო მკაცრი უნდა იყოს, რაც უფრო მეტად მოსალოდნელია იერიში. ზოგიერთ შემთხვევაში ქვეითა ჯარი სრულიად გამზადებული რჩება ხოლმე მოწინააღმდეგის სროლით და ხიშტით ყოველ წუთში შესახვედრათ, ამასთან სასროლი პოზიცია რაც შეიძლება მსროლელთა მეტი რიცხვით დაიჭირება. კერძო მაშველები სიღრმიდან წამოიწვიან და კედაროსთან ახლო დაიყენება.

199. თუ აღმოჩენილი იქნება, რომ შემტევი დაუახლოვდა ჩვენ მოთავსებას ღამის სიბნელის წყალობით იმ მიზნით, რომ დაიკავოს პოზიციისკენ მახლობელი მისაღვლები, მაშინ საჭიროა მისი უკუქცევა შეტევაზე გადასვლით და არ უნდა მიეცეს დრო ხანდაკობისა.

200. ღამით სროლის დაწყებისთვის საჭიროა კარგათ მომზადება დღისითვე. მნიშვნელოვან ადგილობრივ საგნებამდისინ მანძილი გაიგება დღის ძალზე (თვალნათლივ).

201. დიდი მნიშვნელობა აქვს მოგერიების წარმოებისთვის ხელოვნურ დაბრკოლებებს, უბრალოებსაც კი მისთვის, რომ ისინი შემომტევს შეაჩერებენ მომგერიებიდან განსაზღვრულ მანძილზედ და ამიტომ მომგერიებელს საშუალება ეძლევა ისარგებლოს თავის სროლით.

202. მოიერიშეს წინააღმდეგ სროლა უნდა აწარმოონ მაშინ, როდესაც მოსჩანს ხალხის აჩრდილები ან როდესაც მოიერიშე ნათლათ სჩანს პროექტორებით განათების წყალიაბით. წინ წაწეულმა მცირე დამცველმა ნაწილელბმა (საიღულო ჩასაფრი) უნდა გვაცნობონ ის, თუ რომელ ადგილობრივ საგნებამდის მოვიდა შემომტევი; ამისთვის სასარგებლოა მისცენ საიღუმლო ჩასაფრებს ხელის ყუმბარები, მოამზადონ მათთან ახლო კოცონი დასანათებათ, რომელიც საიღუმლო ჩასაფრის მიერ აინთება მოწინამდეგის შეტევის გამო დახვევის წინ. თუ ამ საგნებამდე მანძილი დციან და თუ გაკეთებულია მსროლელთათვის დასანახი ხელოვნური დამიზნების წერტილები, მაშინ სროლა შეიძლება ავტებოთ უჩინარ მიზანშიაც.

203. მოიერიშეს, გამოთოფვის შემდეგ პირში მიხლით, ხიშტის კვეთებით უნდა შევხვდეთ.

204. მომგერიების ფრთები და ზურგი უნდა



იყოს კარგათ დაცული; განსაკუთრებით სასარგებლოა გადგომები ფრთებზედ.

205. დადევნება გამარჯვებულ იერიშის შემდეგ ღამით როგორც შეტევისას, ისე მოგერიებისას შესაძლოა მხოლოდ მოკლე მანძილზედ; გათენებასთან ერთად დადევნება უნდა გაძრიელებულ იყოს. მტრის უკუქცევის შემდეგ უნდა გავმტკიცდეთ მისგან წართმეულზე.

პროექტორების გამოყენება.

206. პროექტორის სინათლის თვისებები იმნაირია, რომ ღია ფერის საგნები ძლიერ მკაფიოდ მოსჩანს ბნელ ფონზე და გვეჩვენება უფრო ახლო; წინაუკმოდ ბნელი საგნები: ხეები, ბუჩქები, ათხრილი მიწა და სხვა—გვეჩვენება უფრო შორს, ვიდრე ნამდვილად. ზოგიერთი ფერი პროექტორის სხივების ქვეშ გვეჩვენება შეცვლილად: ყვითელი და ნათელი ფერები—თეთრად, ღია მწვანე—მოყვითალოდ, ჯარი მუქ-რუხ ფერში (ჯ. კაცის მაზარა) ძლიერ ძნელი გასარჩევია; დამუარი (საგუო) ფერი მოსჩანს ნათლათ, გვეჩვენება თითქოს თეთრად; იარალი და ლითონის საგნები თვისი ბრჭყვიალით ერთბაშად ეცემა თვალში მოთვალთვალს; ჯარი

მოძრაობის დროს უფრო ადვილათ გაირჩევა, ვიდრე გაჩერებულ მდგომარობაში.

207. პროექტორების გამოყენება შეუძლიან, როგორც შემტევს, ისე მომგერიებელს.

208. პროექტორები იდგმება მათვის ამორჩეულ ადგილებზედ, უპირატესად ამაღლებულ ადგილებზედ. საჭიროა პროექტორებისთვის რამოდენიმე ადგილები და გზები ამოირჩეს მათი ერთ ადგილიდან მეორეზედ გადასატანად, რომ, თუ საჭირო იქნება, შეიძლებოდეს მათი გადატან-გადმოტანა.

209. პროექტორით განათებულ ზოლის მოთვალთვალენი, ღურბინდებით ხელში შეიძლება მოთავსდნენ პროექტორების გვერდზედ ან რომედონი-მე მანძილზე მათგან, აგრეთვე პროექტორებზე მალლა (სიმაღლეები, ჩარდახები). თუ მოთავლთვალენი დაშორებულნი არიან პროექტორისაგან, მაშინ ისინი პროექტორის სადგურთან დაკავშირდებიან ტელეფონით.

210. პროექტორებს შეიძლება დაევალოს შემდეგი ამოცანები:

- ა). განათება მოწინააღმდეგისა სროლისთვის.
- ბ). განათება მოწინამდეგისა მისი მოთავსების და მოძრაობის გამოარკვევის მიზნით.
- გ) მოწინააღმდეგს თვალების მოსაქრელად.

დ) მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად საკუთარ ჯარის მდებარეობის შესახებ.

ე) სინათლის ფარდის გაკეთება და ბრძოლა მოწინააღმდეგის პროექტორებთან.

ვ) ღამის მუშაობის გასაადვილებლად, განათება ადგილების, თუ ეს არ დაანახვებს ჩვენს თავს მტერს.

ზ) ნიშანობა კავშირის დაკავებისთვის.

211. შეტევისას ქვეითა ჯარი მოწინააღმდეგის პროექტორის შუქის მოახლოვების დროს უნდა დაწვეს საამისოდ განსაკუთრებულ განკარგულების მიუღებლად; ამასთან უნდა დამალოს ბრჭყვიალა საგნები, რომელიც პროექტორების შუქის ქვეშ იძლევიან კარგათ შესამჩნევ გამოკრთობას (ანარეკს) და უნდა დარჩნენ უძრავად. განსაკუთრებით სახეირო არა არის სხივების ქვეშ მოყოლა მოწინააღმდეგისკენ მიქცეულ ფერდობზე, როდესაც განათდება ქვეითა ჯარის მთელი მოთავსება სიღრმეზე; ამისთვის ამისთანა ფერდობებზე პროექტორებით განათების შესაძლებლობისას, უკეთესია წყობილებები განიერები, მაგრამ ღრმები კი არა.

212. თოფის სროლის სფეროს გარეთ შეტევის შემთხვევაში, როდესაც პროექტორის სინათის ძალა დიდი არ არის, უკეთესია პროექტორებისაგან

დაფარვა მოხერხდეს ადგილმდებარეობის უსწორ-
მასწორობით, აგრეთვე ისეთ საგნებით, რომლებიც
გრძელს ჩრდილს იკეთებს: პურის ზვინები და სხვა.

თოფის სროლის სფეროში პროექტორის სხი-
ვების ქვეშ შეტევისას შესაძლოა ნათლად გამო-
ჩნდნენ შემოტევის ცალკე მსროლელნიც კი და-
იმდენათ კარგათ, რამდენადაც უფრო ახლოა შემ-
ტევი მოწინააღმდეგისაგან; ამიტომ პროექტორის
სხივების ქვეშ თოფის სროლის სფეროში შეტევისას
უნდა ვიხელომძღვანელოთ იმავე ილეთებით თვალიდ-
გან და სროლიდგან მოთარებისთვის, როგორც შე-
ტევისას დღისით, ე. ი. აწარმოვით შეტევა გადარბე-
ნით, საფარების უკან მოგროვებით; განათების შე-
წყვეტებით უნდა ვისარგებლოთ ერთბაში წინ წაწე-
ვისთვის. ადგილმდებარეობის განათებისას მტრის
პროექტორებით იერიშის წარმოება მოხდება,
თითქმის, დღისით ბრძოლის პირობებში.

213. შემტევს შეუძლიან თავის პროექტორე-
ბი გამოიყენოს შორი მანძილიდგანაც კი შუქის ფა-
რდის გასაკეთებლად; ამისთვის მოწინააღმდეგის პრო-
ექტორების შუქი უნდა დაკავებულ იქმნეს ჩვენ
მიერ. მტრისაგან ახლო მანძილებზე შემტევს შეუძ-
ლიან გაანათოს მისი მოთავსება და მით ხელი შე-
უწყოს თავის გაგნებას (ორიენტობას).

214. მოგერიებისას პროექტორები ნაწილდება საომარ უბნებში და ემორჩილება მის უფროსებს; ყოველ პროექტორს ეძლევა განსაზღვრული უბანი წინ მდებარე მიდამოსი, მიიღება რა სახეში ყოველ პროექტორის შუქის წოწოლას ზომები. პროექტორის სადგურები ტელეფონით შეერთდება ერთმანეთთან და უბნის უფროსთან.

215. მოქმედებათა წარმართებისთვის პროექტორმა ხან გამოშვებით უნდა გაწყვიტოს თავისი სინათლე, იმისთვის რომ ამით მას შეუძლიანთ უცრათ მოიქციოს შემტევის ჯარები თავის შუქ ქვეშ; ასეთი მოქცევა, გარდა მომგერიებისთვის მათი ცხადყოფისა, შემტევზე მძლავრ ზნეობრივ შთაბეჭდილებას ახდენს.

სინათლის გამოშვება და შეწყვეტა არ უნდა სცვლიდეს ერთი მეორეს ძლიერ ჩქარ-ჩქარა და უნდა ხდებოდეს დროის ერთნაირ სამუშაოებით. პროექტორის სხივის გადატანა უკეთესია მოხდეს ხოლმე უცრად და სწრაფად სხვა და სხვა მიმართულებებისკენ, და არა თანაბარი და თანდათან მოვლებით.

216. როდესაც მოწინააღმდეგე აღმოჩენილია, პროექტორს სინათლე უნდა სდევდეს ყველა შემდეგი მოძრაობის გამნმავლობაში, რომ მოწინააღმდეგე ყოველთვის მოქცეული იყოს სხივების ქვეშ;



ამ დროს უნდა ვისარგებლოთ სროლით განათებულ მოწინამდევის წინააღმდეგ,

217. პროექტორი ძნელად დასაზიანებელ მიზანს წარმოადგენს; თუ პროექტორი სროლის ქვეშ მოჰყვა, მისი სროლიდგან დაფარვისთვის შემდეგი ზომები უნდა მივიღოთ:

ა) პროექტორის გადატანა მეორე ადგილზედ; ბ) პროექტორის სინათლისა შეწყვეტა; გ) სინათის გაწყვეტის შემდეგ, რამდენიმე ხნის დაყოვნებით კვლავ უნდა გამოიშოს სინათლე და ამასთან ცოტათი მიიბჟუტოს; მოწინამდევის მხრივ ისე მოსჩანსთითქოს პროექტორი წაეღოთ, ე. ი. მოწინამდევე შეყვანილი იქნება შეცდომაში პროექტორისკენ სროლის მანძილის შესახებ.

218. უფროსი, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება პროექტორი, ვალდებულია:

ა). გააცნოს სადგურის უფროსს, რამოდენიმე პროექტორების ყოფნის დროს პროექტორთა ჯგუფის უფროსს, მოქმედების გეგმა და ჯარის მოთავსება.

ბ) დაუნიშნოს ყოველ პროექტორს ამოცანები და წინ-მდებარე მიდამოს უბანი, სინათლის წოწოლას ზომის სახეში მიღებით;

გ). უჩვენოს, რომელი ადგილობრივი საგანი



და წინ მდებარე ადგილს მისადევრები უნდა იქონიონ სახეში განათებისთვის;

დ) სადგურების უფროსებთან ან პროექტორთა ჯგუფის უფროსებთან ერთად მოისაზროს სადგურების მოთავსების ადგილები.

219. პროექტორის სადგურის უფროსი მოვალეა:

ა) მიიღოს უფროსისგან, რომელსაც ემორჩილება, ჩვენებები სადგურის მოთავსების ადგილზე და ამოცანებზე, რომელიც მიეცემა პროექტორების სადგურებს;

ბ) გაეცნოს თვალნათლივ წინ მდებარე მიდამოს და განსაკუთრებით მისთვის ნაჩვენებ უბანს;

გ) ამოიჩიოს, თანახმათ უფროსის ჩვენებისა და ტექნიკურ მოსაზრებათა, სადგომისთვის და მოვალთვალეთათვის ადგილები;

დ) შეადგინოს პატარა რუკა და პერსპექტიური ხაზულა წინ მდებარე მიდამოზე არსებულ ზღუდების მკაფიოდ აღნიშვნით ზედ.



ზოგიერთ სიტყვები და ტერმინები.

- Боевая задача—ბრძოლის ამოცანა
- Боевой участок—საბრძოლო უბანი
- Боевой порядок—საბრძოლო წესი
- Въ упоръ—პირში მიხლით *პირდაპირ*
- Взводный участокъ цѣпи—შარის ოცეულთა უბანი
- Главный ударъ—თავდათავი კვეთება
- Движеніе кавалеріи лавой—ცხენოსნის გაფანტვით მოძრაობა

- Замѣшательство—არეგ-დარევა, აფორიაქება
- Накопленіе—მოგროვება, დაგროვება
- Направляющая часть—მიმმართავი ნაწილი
- Насѣдающій противникъ—კრიჭაში მიმდგარი მტერი
- Облическое движеніе—ცერად მოძრაობა
- Обмундировочный паекъ—ტანსაცმლის ულუფა
- Обстрѣливаніе площади—ფოლიცის თოფვა
- Одиночный огонь—სათითო, თითოობრივი სროლა
- Опорный пунктъ—დასაყრდნობი პუნქტი
- Оріентированіе—გაგნება
- Отпоръ—მაგიერის მიგება, მიყოლება, საპასუხო
- Отношеніе—მიმართვა
- Партія—დასი
- Перестроеніе—გადაწყობ-გამოწყობა
- Поддерживающая часть—მწენაწილი

- Предписание — მიწერილობა
- Промежуточный пост — საშორისო სადარაჯო
- Расхождение — წასვლა-წამოსვლა
- Рѣдкій огонь — ნელი, კანტიკუნტი სროლა
- Рубежь — ზღუდე, სინორი
- Сосредоточенный огонь — შეჯგუფული სროლა
- Спѣшивание кавалеріи — ცხენოსნის ჩამოქვეითება
- Сыпь (на листьях) — გოზანგო
- Створа — სწვრივობა
- Упорство обороны — მოგერიების სიჯიუტე, სიმედგრე
- Цѣпь отдѣльныхъ людей — სათითოო კაცების ჯაჭვი
- Частый огонь — ჩქარი, ხშირი სროლა

ლ. ცაგარელი.



შემჩნეული შეცდომები:

| დაბეჭდილია | გვერ. | უნდა იყოს |
|------------------|-------|------------------|
| მიხედვით | 7 | მიხედვით |
| დარაგებით | — | დარიგებით |
| განსაზრულ | 13 | განსაზღვრულ |
| წესზედა | 40 | წესზედ |
| წეწისა | 41 | წესისა |
| მოწინააღმდეგეს | 51 | მოწინააღმდეგის |
| დაჰვლის | — | დაჰშლის |
| უფროსისა | 52 | უფროსის |
| მაშველე | 56 | მაშველი |
| ახწეულ | — | მიხწეულ |
| შემიეგ | 58 | შემდეგ |
| უფროსისა | — | უფროსის |
| მანწილის | 60 | მანძილის |
| მაფართოვებისთვის | — | გაფართოვებისთვის |
| ადგილში | — | ადგილი |
| ერთანეთის | 65 | ერთმანეთის |
| ჯვარადინა | 66 | ჯვარედინა |
| მიიყვანონ | 67 | მივიყვანოთ |

| | | |
|-----------------|----|-------------------|
| გამცელად | 72 | გამცდელი |
| ფართულა | 74 | ფართულა |
| მოწინამდეგესთან | 75 | მოწინააღმდეგესთან |
| მოთავალთვალენი | 79 | მოთვალთვალენი |
| მოწინამდეგის | 80 | მოწინააღმდეგის |

